

ზ. ბერიძე.

მეგრული (ივერული) ენა.

შესავალი და მასალები.

(I წიგნის I ნაკვეთი).

ხელნაწერის

უფლებით.

ტბილისი.

ქართული ბეჭდვითი ამხანაგობის სტამბა, რუსთაველის კრ. № 26.

1920.

მეგრული. ენა არის მეგრული ენა; იგი ლინგვისტიურად არ არის არც კილო, არც დიალექტი, მაგრამ ამავე დროს მეგრული მკიდროთ დაკავშირებულია ქართულთან; ქართული ენის ძმა ენა არის და ქართულის მეცნიერულად შესასწავლად, დიახ, საჭიროა მეგრულის გამოწვლილვა.

აკად. ნ. ი. მარრი.



წინასიტყვაობა.

მეგრული ენის მასალები განზრახულია X წიგნად.

I წ. შეიცავს: შესავალს (8 თავი), ლექსებს, ზღაპრებს, ანდაზა-გამოცანებს, შელოცვებს, ლეგენდებს, პატონ-ყმობის ამბავს, თარგმანს—მეგრულიდან—ქართულად, ქართული—რუსულიდან—მეგრულად და სალექსიკონო მასალას.

II წ. ზღვლიდი—სამორზაყანოს კილოს ტექსტებს და სა-მეგრელოს ეთნოგრაფიულ მიმოხილვას.

III წ. ჯვარის ტექსტებს, როგორც განსაკუთრებული თქმის ნიმუშს—სუფიური ენის გავლენისა ვაშო.

წინამდებარე შრომა არის I წიგნის მხოლოდ I ნაკვეთი. ზოგიერთი აქ მოთავსებული ლექსი შეიძლება ულამაზოდ ეჩვენოს მკითხველთ, მაგრამ ნუ დაივიწყებენ, რომ წიგნს აქვს დანიშნულება სპეციალისტთათვის, ქართული ფილოლოგიის დარგში მომუშავეთათვის და ვისაც არა აქვს რამე საერთო მასთან **ნურც მიმართავს წიგნსა**. ვარდა ამისა, ზოგიერთი ულამაზო, მოკლე, სულ 4-სტრიქონიანი ლექსი საინტერესო სალექსიკოგრაფიო მასალას და სალიტერატურო მოტივს შეიცავს.

დანიშნულება წიგნისა—გზის გაკეთვაშია „ქართული ფილოლოგიის თვალუწვდენელ კვლევის კვლზე“ (მ. წერეთელი—„სუმერული და ქართული“, იხ. აგრეთვე ეპიგრაფი წინამდებარე ნაკვეთისა).

მასალა ვერ არის დალაგებული ჩაწერის ადგილის მიხედვით, რადგანაც მას აქვს დროებითი დანიშნულება და კიდევაც გამოდის მხოლოდ „ხელნაწერის ეფლემბით“. იგი იწვებოდა აუტანელ პირობებში...

შემდეგში, რა თქმა უნდა, მასალის დალაგებაში მეტი

წინასიტყვაობა.

მეგრული ენის მასალები განზრახულია 3 წიგნად.

I წ. შეიცავს: შესავალს (8 თავი), ლექსებს, ზღაპრებს, ანდაზა-გამოცანებს, შელოცვებს, ლეგენდებს, ბატონ-ყმობის ამბავს, თარგმანს—მეგრულიდან—ქართულად, ქართული—რუსულიდან—მეგრულად და სალექსიკონო მასალას.

II წ. ზუგდიდი—სამურზაყანოს კილოს ტექსტებს და სამეგრელოს ეთნოგრაფიულ მიმოხილვას.

III წ. ჯვარის ტექსტებს, როგორც განსაკუთრებული თქმის ნიმუშს—სვანური ენის გავლენისა გამო.

წინამდებარე შრომა არის I წიგნის მხოლოდ I ნაკვეთი.

ზოგიერთი აქ მოთავსებული ლექსი შეიძლება ულამაზოდ ეჩვენოს მკითხველთ, მაგრამ ნუ დაივიწყებენ, რომ წიგნს აქვს დანიშნულება სპეციალისტთათვის, ქართული ფილოლოგიის დარგში მომუშავეთათვის და ვისაც არა აქვს რამე საერთო მასთან. **ნურც მიმართავს წიგნსა.** გარდა ამისა, ზოგიერთ ულამაზო, მოკლე, სულ 4-სტრიქონიანი ლექსი საინტერესო სალექსიკოგრაფიო მასალას და სალიტერატურო მოტივს შეიცავს.

დანიშნულება წიგნისა—გზის გაკაფვაშია—„ქართული ფილოლოგიის თვალუწვდენელ კვლევის ველზე“ (მ. წერეთელი—„სუმერული და ქართული“, იხ: აგრეთვე ეპიგრაფი წინამდებარე ნაკვეთისა).

მასალა ვერ არის დალაგებული ჩაწერის ადგილის მიხედვით, რადგანაც მას აქვს დროებითი დანიშნულება და კიდევაც გამოდის მხოლოდ „ხელნაწერის უფლებით“. იგი იწერებოდა აუტანელ პირობებში...

შემდეგში, რა თქმა უნდა, მასალის დალაგებაში მეტი

წესრიგი იქნება დაცული, ხოლო თუ რამე მიჩნეულ იქმნა მეტხორცად—უკუგდებელი, დანარჩენი კი შევსებული ახალის მასალებით.

ხაზგასმით*) ტექსტში აღნიშნულია ლინგვისტისათვის საინტერესო რამე მხრით სიტყვები.

1910 წ. ნ. მარმა თავის „ქანურ (ლაზურ) ენის გრამატიკაში“ მეგრ.—ქანური გამოჰყო განცალკევებულ ჯგუფში იაფეტურ ენათა შორის და უწოდა მას თუბალ-კაანური ან (თობელ-კაანური). პირველი—„თობელური“ ანუ „ივერული“—მეგრული, მეორე—ქანური ანუ ლაზური. თობელისაგან (იაფეტის შვილი, ბ. X, 2) წარმოსდგნენ მეგრელები (კოლხი, ოდიში—უგვიანესი ტერშინებია) და იწოდებოდნენ **ივერიელე-ბად** (ბ. Ἰβήρης ἄχλυσινται).

იოს. ფლავიოსი (იხ. ჩვ. აღრიცხვ.) მოწმობს, რომ უძველესად კოლხელებს—ივერიელებს უწოდებდნენო (Antiquit., I, гл. 6; ან ბ. პ. უსლარი—„Древнѣйшія сказанія о Кавказѣ“, 1881, გვ. 306; მ. ჯანაშვილი „საქ. ისტ.“, I, 1906 გვ. 15.). პროფ. იოს. ყიფშიძე (+1919) თავის გრამატიკას უწოდებს—„Грамматика мингрельскаго (и верскаго) языка“... (1914) მოხსენებულ მოტივით, (იხ. გვ. XIII და შემდ. „გრამატიკისა“). მოპირდაპირე შეხედულება საკითხისათვის, კი ბ. მ. ჯანაშვილის წიგნში—„ქართ. მწერლობა. წ. II, 1909, გვ. 82—86 და სტატ.—„ქართ. ენა“ 1916, „გან.“, №№ 5—6, გვ. 323... ან მისივე „საქ. ისტ.“, I, 1906, გვ. 16). ასეთ შემთხვევაში ტერმინი „ივერული“ გადმომცემია, რა თქმა უნდა, სახეობითი ცნებისა და არა გვარეულობითისა. **)

*) შავის ასოებით.

**) ივერული ენა—მეგრული ენა, ივერული ტექსტები—მეგრ. ტექსტები.	სახეობითი ცნება.
ივერია—საქართველო, ივერიის ეკლესია—საქ. ეკლესია და სხ.	გვარეულობითი ცნება.

შეად. ჰაიკური (ძვ.—სომხური)—სომხური, ივერული (ძვ.—მეგრული)—მეგრული.

ამ აზრით და საბუთებით ნახმარია ჩვენ მიერ ასეთი სახელწოდება.

უფრო ადრე (1905 წ.) ნ. მარრი სწერდა: „Лингвистически მეგრული означает, ივერი... (Крещение армянъ, грузинъ... арабская версия, გვ. 166—168, 1905, Зап. Восточн. Отд. Р. А. О., т. XVI) და სხ. *)

ამ და შემდეგს წიგნებში უმთავრესად წარმოდგენილია უძველეს მეგრულის ნიმუშები, ე. ი. იმისა რომელსაც ეწოდებოდა ივერული, ეს ტერმინი იხმარება განსაზღვრულ ცნების გადმოსაცემად (იხ. შენიშვნა წინა გვ.)

განსაკუთრებით ამ ნაკვეთში მოქცეულ ტექსტში იპოვით ისეთებს, რომელნიც, სრულიად თუ არა, უმეტესი ნაწილი მაინც გაუგებარია დღეს მეგრელთათვის. აბა წაუკითხეთ მათ ლექსები №№ 59, 86, 103 და სხვ. ქვეშ მოთავსებულნი, თუ გაიგონ ისინი სავსებით მიზეზი ამისა მათი არქაიზმია და ამ მოსაზრებით იგი უფრო **ივერულია**, ვიდრე მეგრული. ასეთი მასალა ემსახურება მეგრულ (ივერულ) — ჰანჯორის წინა—ენის აღდგენასა და მაშასადამე, ქართული წინა—ენის გამოწვლილვასაც. წინდაწინ ვიცით, რომ ბევრს არ ეჭაშნიკება ჩვენი ტერმინოლოგია, მაგრამ ასეთებმა კეთილ-ინებონ და საბუთებით ხელში,**) უფრო პატივსადებით, ვიდრე დღემდე, უარპყონ იგი. სამეცნიერო ლიტერატურაში პროფ. ყიფშიძის გრამატიკის სახელწოდების უსაბუთობა—არავის უქმნია ცხად, არც ისტორიკოსთა და არც ენათ-მეცნიერთა.

*) იხ. აგრეთვე ივ. ალ. ჯავახიშვილის—„ქ. ერის ისტორია“, ტ. I. 1908, გვ. 19, 49; იგივე 1913, გვ. 24—25; იგივე 1918, ქუთაისი, მე-III გამოც. გვ. 16; ბ. ს. გორგაძე—„საქ. ძველი ისტორია“ 1920, გვ. 25—26, 40, 47. დანარჩენი ლიტერატურა საკითხისა იხ. ბ. ლ. მელიქსეტ-ბეკის სტატიაში—„Новый взгляд на происхождение названия „Иверія“, ცალკე ვადმონაბეჭდი გამოცემიდან—„Изв. К. О. Р. Геогр. Общества. т. 24, 1916; ბ. ი. ა. ჯავახიშვილს თუბალი—თობელისაგან ივერლების წარმოშობის დასასაბუთებლად, გარდა იოს. ფლავიოსისა, მოჰყავს ესტატე ანტიოქელი—არქიეპისკოპოსისა (IV ს.) და თეოდორიტე კვიპრელის (იმ. დრ.) აზრები (1918 გვ. 16).

**) ისტორიულით თუ ფილოლოგიურით.

წიგნში ბეჭდვითი შეცდომებია უმთავრესად 35, 145 160 გვ. გვ., რომელთა შესწორებას ვსთხოვთ ბკითხველს, სანამ მიმართავდეს წიგნს. *) ისინი შედეგია ბეჭდვის აუტანელ პირობებისა...

ვსარგებლობთ შემთხვევასა და ვათავსებთ თანამშრომელთა სიას (ორივე მაზრა და სამურზაყანო).

1. სენაკ. მაზრა: გარდა იმ პირთა, რომელნიც ჩამოთვლილნი არიან ამ წიგნის მე 6 გვ., შენ. I: ბ.ბ. ექიმი იასონ ჟორდანი, გრ. ფალავა, პროკ. ჯაიანი, დიმ. ფალავა, გ. გეკორი და აკ. გოგოლაძე.

2. ზუგდიდ მ.: ბ.ბ. კონსტ. გრიგოლია, თ. გვანჯი ჩიქოვანი, ნიკ. ბერიძე, გრიგ. ხუროძე, პავლე აკობია; ილ., პეტრე და მიხ. მუხარგიები, ჯ. შედანია. ფ. ჟორდანი და ხ. ვადაქარია.

3. სამურზაყანო (გარეთ-სამეგრელო): ს. ქეცბაძე, თლან აკირტა (ვა), ალ. ქარაია.

სამეგრელო-სამურზაყანოში მოგზაურობის დროს უმთავრესად გვინტერესებდა სალინგვისტო საეტნოგრაფიო მხარეები, მაგრამ მარტო ამით არ განგვისაზღვრავს მოქმედება. ჩვენ გვინტერესებდა ძვ.—ქართული ხელნაწერები და ძვ. ნაბეჭდი წიგნები და კიდევაც შევიძინეთ ბევრი რამ ამ დარგში. უმთავრესად ყურადსაღებია მათ შორის შემდეგი: 1) იოვ. ხელაშვილის ხელნაწერი—„სიტყვები“ (700 გვ. 16×22 სანტიმ., პეტერბურგი, 1810—30):

2) ლექსები, მოთხრობები და პოემა (დადიანთა ცხოვრებიდან—მოხუცი პოეტი ი. ვ. ანჯაფარიძისა, იხ. გვ. 51, შენ. 1);

3) რუს.-ქართ.-სვანური ლექსიკონი ბ. თ. აშორდიასი (დაუმთავრებ.);

4) ჟამნი, 1807 წ.;

5) ლაზიკა (Опытъ изуч. Лазики, რუს., ავტ.?), ქუთაისი, 1890—91 წ. წ.;

*) შეცდომათა გასწორება იხ. წიგნის ბოლოში, გვ.გვ. 103—106.

6) ქ. ლექსთა კრებული სხ. და სხ. ავტორისა (ქ-ნ ბაჩუა დადიანისაგან);

7) რუხის ბრძოლა, გ. კოლხიდელოსა;

8) ცხ. წმ. ონოფრი განშორებულისა;

9) ერთი ისტორ. მოთხრობა სამეგრ. ცხოვრებიდან;

10) ცხ. და მოქალაქობა წმ. იოანე ოქროპირისა სი-
ყრმითგანვე;


11) „თამარ მეფისა და მეუღლისა მისისა დავით მეფისა
შესხმა—შავთელისაგან“, ტფ., 1838 წ. და სხ.

ყველა თანამშრომელს, აგრეთვე ხელნაწერთა გადმო-
ცემთ და ყველა იმათ, ვინც მოგზაურობის დროს ხელს გვი-
წყობდა უ ძ ღ ვ ნ ი თ მ ა დ ლ ო ბ ა ს ა .

შ. ბ.

თფილისი,

22 მაისი 1920 წ.



Русское предисловіе

къ книгѣ—„Мингрельскій (иверскій) языкъ“.

(I ч. I книги.)

Россійская Академія Наукъ, по предложенію акад. Ник. Як. Марра, весной 1919 г. командировала меня въ Мингрелію (Сенакскій и Зугдидскій у. у. Кутаисск. губ. и Самурзакань, нынѣ Сухумскаго округа, для собиранія матеріаловъ словесной этнографіи.

Для приведенія въ исполненіе этого научнаго порученія я выѣхалъ изъ Москвы 15-го марта 1919 г. и могъ попасть на мѣсто научныхъ занятій лишь черезъ 3½ мѣсяца, послѣ ряда коллизій, сперва на территоріи Совѣтскихъ: Россіи и Украйны, вплоть до Одессы, а затѣмъ въ Константинополь, куда меня, вмѣстѣ съ другими сородичами и съ самыми разнообразными этнографическими представителями, *) доставилъ русскій пароходъ—„В. Кн. Мих. Кон-чъ“ подъ французскимъ флагомъ изъ Одессы.

Пробывши въ столицѣ Турціи и на „Принцевыхъ Островахъ“ больше одного мѣсяца, мы съ трудомъ могли попасть на мѣсто командировки.

Приступить къ выполненію возложннаго научнаго порученія удалось лишь въ концѣ іюля 1919 г. и при содѣйствіи Государственнаго Университета въ Тифлисъ.

Настоящая работа есть лишь I часть первой книги и заключаетъ: Введеніе (стр. 1—47):

*) На пароходѣ, по сообщ., нидерланд. консула г. Мунца было до 30 народностей: грузины, русскіе, болг. сербы, турки, армяне, перем, фр., нѣмцы.

гл. 1 — Научное порученіе и путешествіе: „Россія—Мингрелія“;

гл. 2 — Исторія научнаго изученія мингрельской рѣчи;

гл. 3 — Нѣкоторыя особенности м. языка, еще не отмѣченныя его главными изслѣдователями;

гл. 4 — Грузинскій и родственные съ нимъ языки: мингр., лазскій, сванскій, абхазскій, хайскій (обзоръ теорій Лейбницъ-Марръ);

гл. 5 — О причинахъ исключительнаго вниманія къ мингрельскому языку со стороны ученыхъ языковѣдовъ (Розень Цагарели—Кипшидзе);

гл. 6 — Особенности нашего матеріала;

гл. 7 — Главныя положенія работы;

гл. 8 — Библиографія Мингр. языка и вопроса (о собираніи фольклора) на груз. языкѣ— и Тексты стихотв. Сенакск. у. Кутаисск. губ), записанныя впервые.

Вся работа же разсчитана на 3 книги и имѣетъ назначеніе для небольшого кружка изслѣдователей грузинской филологіи.

Во II ч. I кн. заключены: Пословицы, Загадки, Описаніе Крѣпостной Мингрели со словъ 100-лѣтняго старца. Переводы, Словарь.

Во II книгѣ: — Зугдидско—Самурзаканскіе тексты и полная этнографія этого уголка Грузіи, съ библиогр. вопроса.

Въ III и послѣдней книгѣ — Джварскіе тексты со словаремъ и изслѣдованіемъ о степени вліянія сванскаго яз. на джварскій говоръ зугдидскаго нарѣчія.

О выходѣ остальныхъ частей, въ виду техническихъ и массы иныхъ затрудненій, въ ближайшемъ будущемъ, не можетъ быть и рѣчи.

Ш. Беридзе.

Тифлисъ.

22-го мая 1920 г.

შ ე ს ა ვ ა ლ ი.

I სამეცნიერო დავალება და მოგზაურობა — „რუსეთი-სამეგრელო“.

1919 წლ. მარტში რუს. მეცნიერებათა აკადემიამ, პროფ. ნ. ი. მარჩის ინიციატივით, მომანდო მე შეკრება ზე ჩაწერა მეგრული სიტყვიერებითი ეთნოგრაფიის მასალისა <ზღაპრების, ლექსების, შელოცვების, გამოცანების, ანდაზების, აღწერა ზნე-ჩვეულებათა, ლექსიკონის მასალისა და მრ. სხ. > *)

ამ სამეცნიერო დავალების სისრულეში მოყვანისათვის მე გამოვემგზავრე მოსკოვიდან 1919 წლის მარტის 15-სა ზე მე ნახევრადაც ვერ შევესძლებ იმ დაბრკოლებათა ჩამოთვლას და დასურათებას, რომელთაც მოგზაურობის დროს წავაწყდი. ეს დრო უსათუოდ აღინიშნება რუსეთის ისტორიის ფურცლებზე შავის ასოებითა, რადგანაც რუსეთ-უკრაინაში ეს იყო დრო გაუგებრობისა, აბდა-უბდა მოქმედებისა. არავინ, სრულიად არავინ იცოდა სად იწყებოდა მომენტი იდეისა და უბრალო „წაგლეჯისა“, ავაზაკობისა.

ხალხს ზურგი ექცია წმინდათა — წმიდასთვის და სასოწარკვეთილი მცონარეობას მისცემოდა.

ერთს არა სწამდა მეორის „მრწამსი“, მეორეს — მესამისა და ასე განუწყვეტლივ. „ძლიერად“ ის იწოდებოდა ვინც კუქს მაგრად გაიძღებდა და „წაგლეჯაში“ დახელოვნებული კადნიერად იტყოდა: „არ მშია, არა მცივა, არ მწყურია“ო...

თითქოს უზენაესი განრისხდა და მთელის სიმძლავრით თვისი მეხი — ბორზალი **) დედამიწის ამ კუთხეს დააფრქვიაო.

ყველაფერი ირეოდა: უმცროსი არა სცნობდა უფროსსა, მოწაფეს ზურგი ექცია მასწავლებლისთვის, კაცს განქექოდა

*) რუსეთის „მეცნიერებათა აკადემიის“ 1919 წლის 5 მარტის სხდომის ოქმი.

**) იხ. „სალექსიკონო მასალა“-ში.

სინილისი და დაეკარგა ის, რასაც ეწოდება „ადამიანობა“.

იღუპება ქვეყანა, მოახლოვებულა ჟამი მეორეთ — მოსვლისაო, — გაიფიქრებდა მორწმუნე.

ასეთი იყო ის დრო, როდესაც მე გამოვემგზავრე მოსკოვიდან ხარკოვისაკენ, სადაც მოვაწიე 3 დღის მოგზაურობის შემდეგ და სადაც, თითქოს ხელ-ფეხ შებორკილი, უცდიდი სამშობლოსაკენ წამოსვლის შესაძლებლობას და ასე მანამ, სანამ გავრცელებულმა უსაშინელესმა სენმა (წინწყლოვანი ტიფი) $1\frac{1}{2}$ თვით მაგრად არ მიმაკრა ლოგინსა. ვსარგებლობ შემთხვევასა და ვუძღვნი მადლობას, ავადმყოფობის დროს ყურადღებისათვის, ტფ. სახელმწ. უნივერს. პროფ. ბ. ალ. სტა. ალადაშვილს, მაშინ ხარკოვში მყოფსა.

დიდის ვაჟ-ვაგლახით ხარკოვიდან 4 მაისს წამოსული მოვალწიე ქ. ნიკოლაევსა, სადაც თურმე მდარაჯობდა იგივე გაუგებრობა, ირგვლივ უნდობლობა...

ნიკოლაევი-ოდესა (100 ვერსტი) იძულებული ვიყავ ფეხით გამეფლო. ოდესიდან კი, მაშინ „ბოლშევიკთა“ სამფლობელოდან, საფრანგეთის გემმა მე და მრავალი თანამემაძულენი, მათ შორის პროფესორი ს. ლ. ავალიანი, ზათუმის მაგიერ, სტამბოლს მიგვაყენა, სადაც დიდი ვაგლახი და გაჭირება გამოვიარეთ ისევ იმ უნდობლობისა გამო. $1\frac{1}{2}$ თვე სტამბოლსა და მის მიდამო კუნძულებზე („პრინცთა კუნძულები“) ყოფნის შემდეგ მოვალწიე საქართველოსა — „ტრაპიზონდი — ბათუმი“-თ. *)

მხოლოდ ივლისის (1919 წ.) შუა რიცხვებში შეძლება მომეცა **) შევსდგომოდი მეცნიერებათა აკადემიის მიერ და საქართვე. უნივერსიტეტის მიერ დადასტურებულ სამეცნიერო დავალების სისრულეში მოყვანას.

მოქმედება ამ მხრივ დავიწყე ქ. ახალ-სენაკიდან ივლისის 22-ს, როდესაც ლექციის შემდეგ („ქართული ენის ადგი-

*) მარშრუტი მოგზაურობისა: მოსკოვი-ხარკოვი-ნიკოლაევი-ოდესა-სტამბოლი-პრინცთა კუნძულები — ტრაპიზონდი-ბათუმი-ტიფლისი — სენაკი.

**) ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის დახმარებით.

ლი სხვა ენათა შორის“) სენაკის ზაზრის მასწავლებელთა ყრილობას მიემართე სიტყვით, რომელსაც შემოკლებით აქვე ვათავსებთ.

„ბ-ნებო!..

დასასრულს ნება მიბოძეთ მოგმართოთ ერთის წინადადებით, რომელსაც ვიმედოვნებ უნაყოფოდ არ ჩამიტარებთ.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ, პროფ. მარრის ინიციატივით, მომანდო მე შეეკრება მეგრულსახალხო პოეზიის ღმკროზის ნიმუშებისა: ზღაპრებისა, სიმღერებისა, ლექსთა, ანდაზა-გამოცანათა, შელოცვათა და სხ. ყველა იმისა, რასაც ეწოდება „ფოლკლორი“.

ერთის სიტყვით, მოგროვება მასალისა მეგრულ ენის ისტორიისათვის.

ამავე მიზნისთვის გამოდგებიან ცალკე პოეტთა ნაწარმოებნი, მეგრ. ენაზედ დაწერილნი, როგორც დამახასიათებელნი სამეგრელოს, ამა თუ იმ კუთხის თქმისა, ავტორის წარმოშობის მიხედვით.

1916 წ. პეტროგრადში გამოცემულ ქართულ-რუსულ-„პროგრამა“-ში *) ნ. ი. მარრი, აღნიშნავდა რა ქართულის თანამოძმე უმწერლობო ენების (ქან., მეგრ., სვანურის აბხ.) გამოკვლევისა და შესწავლის დიდ-მნიშვნელობას იაფეტიდოლოგიისათვის, ასე სწერდა: „საჭიროა საერთო მუშაობა ყველას მხრივ, ვინც კი დაინტერესებულია ქართული ენის შესწავლაში. მათ თვალში ამ სამუშაოს უნდა ჰქონდეს დიდი სამეცნიერო ინტერესი. იმედია, რომ მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ: მღვდლები, მასწავლებლები, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლენი და ისეთებიც, რომლებიც მხოლოდ ქართულ წერა-კითხვაში არიან გავარჯიშებულნი. ამ ადგილობრივ ინტელიგენტურ ძალებს ყველაზე მეტი ხელსაყრელი პირობები აქვთ ამგვარ მუშაობისთვის, რომელიც მათ სრულიად საფუძვლიანად შეუძლიათ დიდ კულტურულ—ეროვნულ საქმედ დასახონ“-ო და სხ.

*) „პროგრამა ქართული ენის დიალექტური (კილოკავური) მასალების შესაკრებად“, Изд. Акад. Наукъ.

მივმართავ ყველას, ვისაც რამ მოეპოვება მეგრული ენით ჩაწერილი, ან ჩასწერს ამ მ თვის განმავლობაში, გადმომცეს მე.

მეგრული ტექსტების ჩაწერისათვის ყველაზე უფრო მომარჯვებულია, რა თქმა უნდა, ქართ. ენის ასოები, მხოლოდ კი აუცილებლივ საჭიროა შიგ შეტანა შემდეგ სამ ასოთა: I) ა („ჰიე“) = რუს. и, ლათ. h, ხუც. a, რომელსაც ზოგჯერ უკავია „ლ“-ს ადგილი: მაჰას, მაჰალური (მეგრ. ენის მარტვილი-ბანდა-აბაშის გამოთქმაში), ზოგჯერ „გ+ი“-ს ადგილი: ვაჰნახუნა, ქოჰჩქნო (საერთო მოვლენა) და სხ; სიტყვები: — სოჰშახ, ლაჰტი, ახავაჰ, მოჰდნახე — მატარებელნი არიან ამ ა-სა. („ა“-ს შესახებ სტატ. პ. მირიანაშვილისა, იხ. „გან.“ № 3, 1913, გვ. 179-84).

II) ე („ელიფი“) — თანხმოვანი ბგერაა და გვესმის ქ. ენის თუშურ კილოში: ქილტაყი (კალია); ქ. ენის ინგილოურ კილოში: აყრ (არა). მეგრ. სიტყვები: ყოროფა, ყუჯი, ყვილუა — მატარებელნი არიან ამ „ე“-სა. ეს ე გვესმის იმერ. კილოში: შორისდებ: „ყიმე!“ გურულ კილოში: „ყოჰწახეხთი“, აჭარ: „ყო მე შენ“... და სხ. „ე“ ერთი უძველეს ბგერათაგანია და შეიძლება სკოდნოდა ქ. ენასაც ოდესღაც. *) ეს ე ისმის იმერ.

— რაქ. ვარიაში = ვარიჟა, შეად. სომხ. *արի* — ქათამი, *күрица* (აგრეთვე *курица*).

III) ე (ანტ. I კათალ. მიერ ქართ. შემოდებული და შემდეგ განდევნილი) **) — მოკლე ხმოვანია და ისევე, როგორც ა შეადგენს სენაკის მაზრის ზოგიერთ თქმის დამახასიათებელ ბგერას, ის წარმოადგენს დამახასიათებელ ბგერას ზუგდ. — სამურზაყანო — ჯვარის თქმისათვის, მაგ.,: ჯგერი (ე=ი), ქკქკქტია (—), ქყში (ე=„ე, ი“). ერთი და იგივე სიტყვა, გამოთქმის მიხედვით, შეიძლება დაიწეროს სამნაირად: ქომმაზადე, ქტმმაზადჷ და ქე მმაზადე.

*) ამ მხრივ ყურადსაღებია ფრიად შინაარსიანი სტატია დ. ჩქოტუასი. „ქარ. ენის მოყვარულთა საყურადღებოდ“ „განათლ.“, გვ. 604-608, 1913, № 8.

**) იხ. „ქართული ღრამმატიკა“, 1885

სომხ. ენაში ჳ-ს ხმარება ფრიად ხშირია: *ընկաւ* — ენკავ, (წაიქცა); *պարս* — НАДЪ, НА; *ընկեր* — ენკერ (ამხანაგი); *ըստանիր* — ენტანიქ — ოჯახი და სხ.

საქიროა ტექსტის ჩაწერის დროს გარჩევა გრძელ ხმოვანთა ჩვეულებრივ ხმოვანთაგან. სიგრძის აღსანიშნავად საკმარისია ხაზი, ამა თუ იმ ხმოვანზე: მ. მი რულე. ქ. ენის თუშ. კილოში — „იკიდ“ (აიკიდა) და სხ. (იხ. მაგალითები ტექსტში).

ამასთანავე ჩამწერი ვალდებულია მასალები ჩასწეროს უცვლელად, ე. ი. ისე, როგორც ეს ისმის ხალხში, სინამდვილეში ან მომთხრობის ენით და რაჟამე შესწორებას თავი უნდა აარიდოს.

სისწორით, უცვლელად ჩაწერილ მასალას ექნება გაცილებით მეტი მნიშვნელობა, ვიდრე შეკეთებულ-შეთეთრებულსა.

სასურველია მასალა დაიწეროს მხოლოდ ერთ გვერდზე და გარკვეულის, აუჩქარებელის ხელით — რაც აადვილებს განხილვას და ბეჭდვასა.

საქიროა ვრცელი ახსნა იმ სიტყვებისა, რომლებიც იშვიათად იხმარებიან, ან ცნობილნი არიან სამეგრელოს მხოლოდ ამა თუ იმ კუთხეში (მაგ. ჯგეგე, ჯვარ. კილოში — წმ. გიორგის სახელია,) სიტყვა ლაზუტი ან ლაჯტი, აფხ-ია და ნიშნავს სიმიდს, რომელსაც სენაკის მაზრაში ვერ გაიგონებთ და სხ.

ჩამწერს შეუძლია კითხვებითაც მიმართოს მთქმელს და მით გამოიწვიოს მის მენხიერებაში ძველი ამბები: კითხვები თამარ მეფისა, ამირანისა, ბატონ — ყმობის დროასა, ცალკე ბატონთა ცხოვრება-მოქმედებისა და სხვა მრავალთა შესახებ. იმის მიხედვით, თუ ვისგან გსურთ ჩაიწეროთ მასალა: ახალ-გაზრდები, რა თქმა უნდა, ბატ. — ყმ. ამბავს ვერ მოგიყობიან, ისინი უფრო ეტანებიან ლექსებსა, სახ. პოემებსა და სხ., ხოლო თუ ღრმა მოხუცთანა გაქვთ საქმე, მისგან, გარდა ზღაპრებისა, შეიძლება ჩაიწეროს ძველი დროას ამბები: მოგონ., დახასიათებები და სხ. „ბატ. ცხ.“ სასურველია, რომ ჩამწერი აღნიშნავდეს სამეგრელოს სხ. და სხ. ენთოგრაფიულ მხარეებსაც, მაგ.: როგორ ატარებენ

შ.-ახ. წელიწ., აღდგომას, მარიამობის წინა ღამეს და სხ. ყველაფერი ეს შეიძლება დაიწეროს ქართულად, უკეთესია კი **მეგრულათ**, რადგანაც ეს უკანასკნელი გამოდგება ზედმეტ მასალად ენის ისტორიისა და ლექსიკოგრაფიისათვის.

სასურველია აღნიშვნა, ე. წ. თიკუნის (ანუ—ტაბუს, ლათ). ხმარებისა, ე. ი. როდესაც საგნებს არ უწოდებენ პირდაპირ მათ სახელებს, არამედ გარდათქმულს. მაგ., მეგრ. „უჩა-ღართამი“ ნიშნავს გველსა, „პუხ-მეტახილი“ —ქიანჭველასა, „თოლიგე“ —მიმართვაა ცოლ-ქმართა და თამაშობს საკ. სახ. მაგიერობას, „ბურღლინა“—დათესა. ასეთ სახალხო, გარდათქმითი, აღეგორ. ეპითეტებს ეწოდება, როგორც უკვე ვსთქვი, ტაბუ და სასურველია ასეთი შემთხვევები აღინიშნავს. (ოზეში ხოჯი —„ჭუჭლე“-ს, იხ. ქობალია იოს. „Изъ мѣстической Колх.“ ბროშ. გვ. 16 და სხ.)

ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ სიცოტავე არ უნდა აბრკოლებდეს მასალის გადმოცემას: სჯობია ცოტა და რიგინი მასალის მოწოდება, ვიდრე **არაფრისა**.“

ამ ყრილობას, რამდენათაც ვიცით, დაესწრო 300-400-მდე კაცი და ქალი, განათლების სფეროში მომუშავე, დახმარება აღმითქვეს თითქმის ყველამ, მაგრამ მხოლოდ რამოდენიმე პირთ მოგვაწოდეს ენის ისტორიისათვის და ეთნოგრაფიისათვის რაიმე მნიშვნელობის მასალა *).

პირადად მე მუშაობას ვაწარმოებდი უმთავრესად იმ „პროგრამის“ **) მიხედვით, რომელიც რუს. მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა 1916 წელსა, რუს.-ქართულად (ნ. მარრის მიერ შედგენილი).

*) ესენი არიან: ვლ. გაგუა, სტუდ. ა. და მ. კანკავები, აკ. ბოკუჩავა, ს. შამათავა, ძ. ბერულავას ასული, დიმ. გაგუა, ივ. დამენიანი. ჩაჩიბაია, ა სტუდ. შ. ჩაჩიბაია, ღრმად მოხუცებული პოეტი იოს. ვ. ანჯაფარაძე (182 წლ.), ვ. გოგოლაძე, მასწავლ. მიხ. ლაბარტყავა, ა. ფარულავა, გ. ხუხუნი, კ. მელქაძე, სტუდ. თ უ თ ბ ე რ ი ძ ე, დ. ფ ა ლ ა ვ ა და სხ.

**) „Программа для собиранія діалектических матеріаловъ по груз. языку“, СПб.

მიზანი ამ „პროგრამისა“ არის გათვალისწინება იმისა, თუ რა მეთოდს უნდა ხელმძღვანელობდეს ენის მასალის შემკრებ-ჩამწერი და რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ენის მკვლევარისათვის ოდნავ რიგიანად ჩაწერილ სიტყვიერებით ეთნოგრაფიის (ფოლკლორი) მასალას: ზღაპრებს, სახ. პოეზიას, გადმოცემებს, ანდაზა-გამოცანებს, ეთნოგრაფ. შენიშენათა და სხ.

ჩვენ ვცდილობდით დაგვეცვა უმთავრესი დებულებანი ამ „პროგრამისა“: 1) ყველაფერი ისე უნდა იყოს ჩაწერილი, როგორც სინამდვილეშია, როგორც თვით ხალხი ლაპარაკობს 2) მასალის შეკრებას უნდა ჰქონდეს დიდი **სამეცნიერო ინტერესი**,

3) გამოსაკვლევნი რაიონის საზღვრები თანდათან უნდა გაფართოვდეს,

4) შემკრებმა უნდა აღნიშნოს ყოველი სიტყვა, რომელიც კი იხმარება ამა თუ იმ კილოკავში და სხ.

ვსარგებლობდი ყოველსავე შემთხვევას ჩემი თანამშრომელნიც გამეცნო მეთოდისათვის და ცხად მეყო მათთვის მნიშვნელობა მუშაობისა ენის სხ. და სხ. მხარეების გამოწვლილვისათვის.

მუშაობის დროს იძულებული ვიყავი გარდამეღახა მრავალგვარი დაბრკოლებანი: ხშირი წვიმები, რომელნიც ერთი ადგილიდან მეორეში გადასვლის შეძლებას არ მაძლევდნენ, უსახსრობა, აუწერელ სიძვირესთან, ირგვლივ გაოცება, გაკვირება და უნდობლობა: „ასეთ“ დროს „ასეთის“ მიზნით მოგზაურობისა გამო და მრ. სხ...

ამასვე თუ დავსძენთ იმას, რომ სწორედ იმ დროებში ასტყდა ქარაუღლ გაზეთებში რაღაც აურ ზაური, მხოლოდ ერთი **გაუგებრობისა** გამო, ჩვენის აზრით, მაშინ ცხადი იქნება მთელი სიძნელე მუშაობისა.

ფოთში და ახ.-სენაკში დაარსებულ საკულტურო ჯგუფს*

*) უმთავრესად მეგრულ სტუდენტ-ახალგაზდობისაგან შემდგარს. ჯგუფი დაარსდა ერთდროულად ფოთსა და სენაკში 1919 წ. აპრილის შუა რიცხვებში.

მიელო შეგროვებული სახელწოდება—„მაფალუ“*) და მიზნად დაესახა გაფართოვება სამეგრელოს და მეგრ. ენის შესწავლისა, შეკრება ფოლკლორისა, შესწავლა საქ. ამ კუთხისა ეთნოგრაფიულად, გამოცემა ამ ენის საუკეთესო ნაშთთა, მიწვდენა ენათ-მეცნიერთათვის საჭირო სალინგვისტო-საეთნოგრაფიო მასალისა და სხ.

თუ რა ხმაურობა ასტყდა პრესაში და საზოგადოებაში მაშინ, ამას მკითხველი დაინახავს გაზეთებიდან (იხ. „სახ. სქმე“, № 540; „ერთობა“ 1919, 27 ივნ.; „სალი კლდე“, 30 ივნ., № 54; იგივე № 55; „პიტალო კლდე“ № 1, 4 ივლის.; „საქართველო“, № 134, № 188. 2/IX; იგივე № 193, 7 სექტ. და სხ.).

ზოგიერთები „სეპარაციას“ ხედავდნენ მათს მოქმედებაში და მოლაღატეობაში ჰკიცხავდნენ, ზოგნი მოსწავლე—ახალგაზრდობის წარყენასა და სხ.

მართლაც, კი არა იყო რა ღირსად გულის-წყრომისა. არავითარი პოლიტიკური განზრახვები ჯგუფს არა ჰქონია და არც შეიძლებოდა ჰქონოდა, რადგანაც მის წევრთ (პედაგოგებს, სტუდენტებს) მხოლოდ კულტურული მუშაობა დაესახათ მიზნათ, რაშიც მოგზაურობის დროს დავრწმუნდით.

შეიძლება ზოგიერთი მცირე მაგალითები სულ სხვაზედ მოწმობდნენ, მაგრამ ასეთი მაგალითები უმნიშვნელონი არიან და შეიძლება შედეგნი იყვნენ ზოგჯერ უბრალო ბავშვურ აჩქარებისა, გონებრივ სიცელქისა.

ამას ყველაზედ უფრო მოწმობს ერთი წერილი, განსვენებული მასწავლებლის თ. აშორტიას ხელნაწერებში ნაპოვნი ჩემ-მიერ (ქ. ზუგდიდში, 1919 წ., ოქტომბ.).

*) ფალუა — აყვავება, გაფურჩქენა: „მაფალუ“-ს შეად. Florendus, ა. იმ — ирѣтушій, произрастающій. ეს ფორმა ხშირად იხმარება ლექსებში: „ართი ვარდი ქომიჩანდუ

ზოთონჯიში მ ა ფ ა ლ უ და სხ. ან კიდევ: „ართი ბალი გავაკეთი ზარხულაში მ ა ფ ა ლ უ“ (ყ—ძე, II, 115);

„ვარდი დოჭუქელე...“

ეირიხოლო მ ა ფ ა ლ უ რ ე (იხ. 146).

წერილი აღნიშნულია— „20 აგვ. 1919 წ.“ თარიღით და შედეგადაწორედ ქურნალისტიკის აურ-ზაურისა.

ერთ ახალ-ვაზრდა მოწაფე-ქალს ვერ გაურკვევია რაშია საქმე, ვერ გამორკვეულა რისთვის, როდის, სად დაარსდა რალაც „მაფალუ“ და მეორე მოწაფეს, თავის ამხანაგს, მეგრულ ენაზე, გასაგზავნად დამხადებულ წერილში, სხ.-შორის, სწერს: „მარგალურო პქარუნქ, რახანც ღორონქ **მაფალუ** ქომოქარუნნი თიში უკული მა ქორთულო ვაპქარ. მათალუში ამბე პქარე ინა ქალარდის ვაშენტირე“ და სხ.

„მაფალუზე“ წარმოდგენა მის მეხსიერებაში რალაცას გაუზვიადებია, შეიძლება ატეხილ აურ-ზაურს, ბოლოს იქამდე მისულა, რომ რაც „ღმერთმა მაფალუ“ აღირსა მას შემდეგ ქართულად წერაც კი მიუტოვებია, აზრთა გაზიარების სურვილით აღვსილა და უძახის თავის „მაყალეს“ (ამხანაგს): მოვიდეს და შეიგნოს „მაფალუს“ აზრთა სილიადე, შეითვისოს „მაფალუობა“, რაჲც თითქოს ქართული ენის უარყოფაში უნდა გამოიხატებოდეს, მეგრ. ენით წერაში მდგომარეობდეს...

აი რა არის გონების სიცელქე, ბავშვური აღტაცება!

სხვათა შორის, დიდი გულის წყრომა პრესაში გამოიწვია სტულ. მ. კ.—ვას სიტყვამ მეგრულად წარმოთქმულმა 18 მაისს ი. მეუნარგიას († 1919) დასაფლავებაზე, ცაჲში <„სახ. გაზეთი“ № 140; პასუხი—„საქართვე.“ № 134>.

დანაშაული ორატორისა შეიძლება იმაში მდგომარეობდა, რომ მისი სიტყვა მეტის-მეტად, გადაჭარბებით დასუფთავებული მეგრული იყო. *)

*) ზოგიერთებმა ასეთაც გვითხრეს: მ. კ.—მ კორესპონდენტი და მისი თანამოაზრენი უფრო სუფთა მეგრულის ენით გააბრაზა ვიდრე სიტყვის შინაარსითო და თვით აქტით მეგრულ ენაზე სიტყვის წარმოთქმისა. ე. ს. მოხდა ის რაც არა ერთხელ მომხდარა ძველ რუსეთში, სადაც იგივე სლავიანები რუსები სდევნიდნენ სხ. სლავ. ენებს—უკრაინულ-პოლონურსა. შეიძლება ამაში, სხ. შორის. გამოიხატა უკრაინიზმი მ. ენისა, მისი პროვანსალიზმი. მეგრ. ენაზე ცხედრის წინაშე სიტყვის წარმოთქმა თუ გასაკიცხია (სამეგრელოში), რატომ არ არის გასაკიცხი ის, რომ დამფ. კრების წევრი მეგრულ ენაზედ მიჰპართავს ხალხსა და უხსნას საჭიროებას ერთდროულ გადასახადისას (სექ. 1919 წ. მარტილი, ხოპი, ზუგდიდი და სხ.; ბ. ბ. თ.—ი). გაგვახსენდება, რომ შევჩენკოს გარდაცვალებიდან 50 წლ. შესრულების გამო მის სამარის წინაშე 1911 წ. ნება არ მისცეს უკრაინელებს უკრაინულად სიტყვის თქმისა...

აქვე ვათავსებთ ამ სიტყვას, რომელსაც ენის ისტორიკოსისათვის შეიძლება ჰქონდეს სალექსიკოგრაფო მნიშვნელობა. ზოგაერთი ძველ—მეგრული სიტყვები განმარტებულნი არიან ჩვენს მიერ შენიშვნებში.

„ჩვენი პატარა სამეგრელოსთვის დაუვიწყარო იონავ!“

„ჩქინი ჭიჭე სამარგალოშოთ უშუქყოლიდაფე იონა!

„მუჟანსით თელი ქინა უდუშქირატე ალი—დანჩხირითირე ეჭოფილი, მუჟანსით ჩქინი დუდი-შულობაშ *) პრიველი მურიცხიქ გვარიანი ხანიჩე მუჟორჩქინდუ ნი, მუჟანსითი თითოული ნაცია საჭირენს, მუჟოთი მანათებელი სანთელინი თეში ინტელლიგენტეფიში—კულტურულ ჭყანას, აი თე შვანს **) თქვა-მოშინაფილი ჭყანაში მუჟოთი ართი საუჯგუშო ნძალა ნიმუთმოკორდუთი ამიორიშე დო დინმურთი უჩა—წკვარამი ***) საფულეშა!...“

აი თე ფარანს, თე უკანასკნელ ძირაფა დო გემოთხუალაში ბორჯის, სამარგალოში კულტურაშ, მოჸოროფე საზოგადოება „მაფალუ“ში სახელით ვეშემიღებუ ბრელი მუთუნი მოსაშინეშე, ჭე მუთუნი ვარა ვემიპშინუე!..

თელი თქვანი საქვარუა, თელი თქვანი ხანდა ****) ბრელი მუთუნი შხვა დო შხვა საგანენს ეხებუ; თენეფი თითოულო საჭირენს დონწყუალა დო გონათუას თე სქანი ოჸოროფე თეშიში გააჩინებლო!..

თე —ჟანს, ჩქი შევეხებუთი ყურადღებას მივაქცენთი თქვანი საქვარუას, მუჟოთ მარგალიში ნი, ნამუქეთი მუთ შეაღებედუ ნი თი წილი დო თია გემიშელუ საერთო საქმეშა დო მარგალური კულტურაში სიხვამარდეს *****) ხე შეუნწყუ!..

ჩქი ვაფასენტ ირინერი თქვანი სამარგალოშ შესახებ ისტორიული გიშაკვალუას, ლიტერატურულ ნაშრომს, თქვანი

*) თავისუფლება.

**) ჟამი. დრო.

***) пронасть, მეწყერი, გადასაჩეხი ადგილი.

****) შრომა, ჯაფა.

*****) ხეამარდი — ხომალდი, სიხვამარდე — სიმდიდრე.

უღუშულადუ ირინერი მოხვარას არძო თი, მუქო ევროპიული, თეში თაქიანი — ჩინი ქიანაში სამარგალოში ჯვეში დო ახალიშ' მაგორალეფიშოთი, მუქოთ მაგაათო: 1) მურიე, 2) 3) ცაგარელი, 4) გრაფ. დე-როჰანნი, 5) მარრი, 6) ყიფშიძე, 7) თაყაქუა დო შხვა...

დო აი სწორეთ ათეჯგურა ინფორმაციათ საშუალება ქემეჩი — გუნჯი სამარგალოს კარი, ჩინი დუდი გაჩინებაფე კულტურული ევროპას...

თეწკუმა ვაშილებინე საპატივცემო საზოგადოებას ვამუშინე თი მუშობა, ნამუსითი თქვა მუჟამხვარდითი ქალაქ — ფუთიშ წიმოკენას, რკინაშ-შარაშ მიშაგონათას სამარგალოშა დო ბოლოს ერობას...

უმეტაშოთ თე მოშინაფილ მუშობას თქვა გეყუნდითი თი უკუმელა-მუნაფილ ბორჯის, მუჟანსითი უჩა ნძალა რუსეფიში პატონობა შურიში ეშალალას მიქირენდესი დო მოხვარე კოჩი ვაჩქედუ ნი!...

მარა, მუჟანსი ღორონთქ, იპრიანუ*) დო გოთანდუ ნი, მუჟანსითიბუქა გობარჩხალუ ნი, ჩინი დუდ-შულობაში მოსალამე მორლიაქ**) ელეღუ ნი, აე თე შვანს, მუჟანსითი სწორეთ საქიროდუ თქვანი ჯგურა გამოცდილი დო რჩქინელი ადამიანინი, აე თე ბორჯის უსქილიდაფე, უსამართო სატკიარქ ამიერიშე გამიწომისოფეს თქვანიცალი საქირო, დიო ხოლო ბრელი, შურო ბრელი მუთუნი ჯგირი დო სიკეთეში მოქიმინე პიჯი... ჩინი ქიანას ბედი დო იღბალი ვაწყალენს!...

მეტი ხანი ვარე იში უკულინე, მუთი უჩა დიხას ქემუაბართი ჩინი მარგალური — ნანაში ნინაში, მარგალური რაგადიში დემანწყუალი, ცაგაროლიში უკულინე აი პრიველი მარკიხოლი, ნამუქ მეცნიერული ნინათი დოქურქულუ, დამტკიცუ სინამდვილე — მარგალური ნინაში რინი, თი პრიველი მარკიხოლი იოსები ყიფშიძე, ნამუქ საქიანოთი გეგმარჩქინუ

*) მოგვხედა, მოისურვა.

**) სხივი, პირველი სხივი, წინამორბედი.

მარგალური ნინაში სიჯვეშჷ, მარა იში იშენი სიჯვირე დო სი-
ხვამარდე, თე ირი ხალხიში პრიველი შურიში დენმადგუმალარი
იარადი!...

თის უკახალე ქეგიაყუნუ წყნარი, შვიდი, საპროფესოროდ
დოტებულ, საწმოხონოთ დიდი იმენდი, დიო ხოლო ახალ-
გაზდა წანეთიში მენდულქ, სილიბისტრო ლომიაქ, ნამუქ წარ-
მოდგენითი მუში ოდაბადე დიხასითი ვეელარსე!...

ჩქი ვფიქრენდითი ნაშულა, თე ყირი უდროო, უდანაშა-
ული ოხვამერი,*) ქეხანს დაბალუდუ ნი!...

მარა ქარწყეთო ექ ვაბალუ ნი!.. მესიში 15, ჩქი მოწამეთ
გინიტრთითი თიში, მუქოთ ჩქინი მუხურს თქვათი მეუდინი-
თინი!...

ნოტე მოთი იპითი თესხი ფური დო ჩილამურიში მოწამე!..

ნოტე მის მუ ვოწყინებაფეთი?

— მის მუ დჭმეთი??

მარა მუ ოკო ბქიმინათნი, დიო ხოლო ბედი-იღბალიში
უბრალო ბაყვი**) ვორეთი დო სოლე ონებუნი თეურე მეპუნთი.

მარა ენა მუთარე!.. —

ოკონდა თქვა მეურთი, მეურთი სამუდამოთი, მარა თქვა-
ნი სახე, თქვანი „მა“ ამიერიშე ვეყი ეშაქყოლიდაფირი თი
კეთილი ადამიანიში გურიშე, ნამუთი თქვა გიჩინენდესე ნი!..
დაჯერებული ორდათი, მუდგაქ მობხვადა ნი, მუდგა ისტორ-
ული იღბალიში გე მნაქყანქი ვიპუათი ნი... მუდგა ფიტი დო
ბორზალქ***) გიმანთხანი, მუდგაქ იყუასი ნი, სოეშახ ვარა ართი
ჩქინთაგანი ქეგესქიდუნე, თქვანი სახელი, იონა, ნამუშ-
შინუაწყკ,მა ბრელი მუთუნე, შურო ბრელი, შხვა დოშხვა
ფერიში ამნახანტეფი****) წარმომიდირთუნანი, აეათე სახე-
ლი იონა, ამიერიშე ვეშელასე, ვეშექყოლიდე თი დიხა დო
ხალხიში გურიშე სოდე-დო. ნამუწკელა დეზადი, იგურე,
გურაფაში უკული თიშოთ, იხანდილი ნილო ბოლოს თის ამი-
ერეშე ქემიბარითი! „Sit tibi terra levis“!

*) მსხვერპლი.

**) მონა, მორჩილი.

***) ელეა და მეხი.

****) ფერადები.

„მაფალუს“-ს ისტორიაზე ჩვენ მისთვის შევჩერდით, რო-
დაგვენახვებია მკითხველისათვის ნამდვილი სახე ამ საკულტუ-
რო მოძრაობისა და გვემკნო მისთვის, თუ რა არა ხელ-საყ-
რელი პირობებში გვიხდებოდა მოგზაურობა ამ გაუგებრობისა
გამო. სამეცნიერო მუშაობას ზოგიერთი უყურებდა, როგორც
სეპარაციის ქადაგებას. ასე იყო სენაკისა და ზუგდი. მაზრებში
აგრეთვე სამურზაყანოში.

ამ გაუგებრობას ხელი შეუწყო, სხ. შორის, სამედიატოს
რო სასამართლოს „განაჩენმა“ მასწავლ. ს. გ.-სა და შ. ჩ.-,
შუა ქ. ფოთში (1919 წ., აგვ. 23—26).

„განაჩენი“ რალაც ორქოფული გამოვიდა და ვერ დააკ-
მაყოფილა დროჲს საკითხი: იყო თუ არა უკანონო, არა სა-
სურველი ჯგუფის დაარსება და რა გზას უნდა დასდგომოდნენ
მისი დამაარსებელნი შემდეგში? წარმოადგენდა თუ არა „ხი-
ფათს“ საქართველოსთვის მისი არსებობა და სხ. „განაჩენმა“
უფრო გააღრმავა გაუგებრობა და ორივე მხარე და საზოგადო-
ებაც დასტოვა, ჩვენის დაკვირვებით, სრულიად დაუკმაყოფი-
ლებელნი. *)

სენაკის მაზრაში მე დავყავი (ავგისტო-სექტემბერი) შემდეგ
სოფლებში: ნოსირი—შხეფი—ნაქალაქევი—აბედათი—გურძემი
—ალერტი—კიწია—ქინოთა—სალხინო—ოჩე—ტალერი—დო-
შაყე—კურსუ—ბანძა და დავამთავრე მარტვილით (1 ოქტომბ.
1919 წ.,) რის შემდეგაც გადავედი ზუგდიდის მაზრასა და სამუ-
რზაყანოში **) (ამისთვის იხ. ამ გამოცემის მე-II წიგნი).

*) იხ. „საქართველო“, № 193, 7 სექტემბრისა 1919 წ.

**) ამ უკანასკნელს, ჩე. აზრით, სამართლიანად უნდა ეწოდოს
„გარეთ—სამეგრელო“, თვით სამეგრელოსაგან გასარჩევად.

სამურზაყანოს შესახ. იხ. „მოამბე“ 1896. № 12, 1897 №№ 1
და 6: „სამურზაყანო“, თ. სახოკია.

2. მეგრული ენის შესახად ისტორია.

1771—72 წლებში ამიერ-კავკასიაში მოგზაურობდა გერმანელი მეცნიერი აკად. გიულდენშტედტი. მან, სხ.-შორის, შეკრიბა რამოდენიმე მეგრული სიტყვები, ჩასწერა და შეადარა ქართულ და სვანურ სიტყვებს. მის მოგზაურობის „აღწერა“ გამოცემას ელირსა მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ. გამოსცა იგი პ. პალლასმა 1791 წ.: „D. J. A. G. üldenstädt's Reisen durch Russland und im Kaukasischen gebürge. St. Petersburg.“ *)

შემდეგში მეგრულ ენას მიაქცია ყურადღება ი. კლაპროტი, რომელიც სამეცნიერო მიზნით მოგზაურობდა კავკასიაში 1811—12 წ. წ. კლაპროტი ჰკრეფდა სიტყვებს, წინადადებებს და ადარებდა მათ ქართულ ენის მასალებს.

ი. კლაპროტის შრომას ეწოდება—„Asia Polyglotta“ და გამოცემულია პარიზში 1731 წელსა.

მეგრული სიტყვები დაპირდაპირებულნი არიან ქართულ-სვანურთან (გვ. 109-194).

ფრანგი მეცნიერი, რუსეთის აკადემიის წევრი და დამაარსებელი ქართულ-სომხურ ფილოლოგიისა მ. ბროსე (-†1880) მეგრ. ენის შესახებ სწერდა 1829 წ. („Détails sur le dialect Céorgien iusite en Mingrél. „-“ Journ. Asiat. № 2, 1829 ან „Chronique géorgienne“, P., 1830, გვ. 135).

გასულ საუკუნის 40-იან წლებში სამეცნიერო მიზნით კავკასიაში გამოგზავნა ბერლინის მეცნიერებათ აკადემიამ პროფ. გეორგ როზენი (-†1891). მან პირველმა, თუმცა დიდის დეფექტებით, შეადგინა გრამატიკული მიმოხილვა ქანურ-მეგრულ-სვანურ-აბხაზურისა **), აგრეთვე ოსური ენისა. ***)

*) მეგრ. ენის შესახებ ცნობები იხ. ამ წიგნის 496-552 გვ. იხ, პ. ს. პალლასი—„Сравнительные словари всѣхъ языковъ и нарѣчій, собранные дес. Высоч. особы, 1787—89.

**) ე. ი. იმენათა, რომელთაც დღეს უწოდებენ „იაფეტურ ენებსა“

***) ირანული ჯგუფი, ინდო.-ევროპ. ენათა ოჯახისა

მის შრომებს ასეთი სახელწოდებები აქვთ: „Ueber die sprache der Iazen, Dr. G. Rosen. 1844 და Ueber das Mingrelische, Suanische und Abchasische 1846. Berlin.

გ. როზენი სრულებით არ ეხება მეგრ. ენის ბგერათა მხარეს (ფონეტიკას) და არ მოჰყავს მეგრული ტექსტები. მის ნაშრომს აქვს მნიშვნელობა უფრო ლექსიკოგრაფიისათვის, ისიც დიდის სიფრთხილით. სხვათა შორის, მას ეკუთვნის უტყუარი აზრი იმის შესახებ, რომ ქართული მხედრული ასოები ყველა ასოებზე უფრო შეეფერებოდა მეგრ., სვანურ, აბხაზურ და ოსურ ენებსა. როზენი თავის შრომებში კიდევაც ხმარობს ამ ენათა სიტყვების გაუმოსაცემად ქართულ ასოებს.*) მხოლოდ ჭანური ენისათვის ნახმარია არაბული ასოები, ლათინურის ტრანსკრიპციით.

ქართველ მწერალ-მეცნიერთაგან მეგრული ენის თვისებებს არკვევდნენ: პ. ჯარაია, **) აღ. ცაგარელი და იოს. ყიფშიძე († 1919, თებერვ.). (იხ. ჩემი — „პროფ. იოს. ყ — ძე“, „საქ.“ №№ 39, 41, 1920 და „განათლ.“, № 2, ამავე წლისა). კირილე და მელოდი მეგრული ენისა. ამ ორმა მეცნიერმა მეგრული ენის მრავალ სხვა და სხვა თვისებათა გამოკვლევით დაამტკიცეს მეგრული ენის ენობა; მისი თვისებებია.

ამ ორ უკანასკნელთ სამართლიანად შეიძლება ეწოდოთ

*) ამ მხრივ მან ბევრად წინ უსწრო კავკ. სამოსწ. ოლქს, რომელმაც პირდაპირ დაამახინჯა ქართული და მასთან მონათესავე ენები რაღაც ნახევრად რუსულ, ნახევრად ლათინურ მახოულ-მოსოულ ასოთა შემოღებით თავის გამოცემებში: „Слрн. матер .. და აგრეთვე უსლარსა.

**) პ. ჯარაია — ქართველ პედაგოგი და ლინგვისტი. მასწავლებლობდა დ. ვალში (სამურზაყანო) მისი ზოგიერთი ნაწერები გამოცეულია რუს. მეცნ. აკადემიის მიერ. მეგრ. ენის შესახებ სტატიები მოათავსა პირველად „მოამბე“-ში: „მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან“ (1896, №№ 10-12; 1896, №№ 1 და 2). — (განხილვა „M შრ.“) ამავე საკითხს შემდეგში შეეხო ნ. მარტი — „მეგრ. ენა“, ცნობ. ფურც., 1905, №№ 2772-73. პეტრე ჯარაია გარდაიცვალა 1919 წ. დეკემბერში (სამურზაყანო). იხ. ჩემი — „პეტრე ჯარაია“ (გაზ. „ივერია“ 1919, 9 დეკ. № 23).

პირველად მეგრული ენის შესწავლის ისტორიის საკითხს ალ. ცაგარელი შეეხო 1873 წ. თავის სამაგისტრო დისერტაციაში---»(Граматической литер. груз. языка“, СПб., გვ. 79—82.

ხოლო მეგრული ენის თვისებებს, უმთავრესად ფონეტიკურს, მან უძღვნა სპეციალური გამოკვლევა—»Мингрельские этюды“ (изд., два вып., 1880), სადოქტორო დისერტაციად დაცული პეტროგრად. უნივერს.-ში. ეს შრომა შედეგი იყო მეცნიერის მოგზაურობისა სამეგრელოში 1876-78 წ.წ. *)

არ შეგვიძლია ა. ცაგარელს დავეთანხმოთ ზოგიერ ასოთა ხმარებაში. „ა“-ს ხშირად ხმარობს სიტყვის ბოლოში, რაც მეგრ. არ იცოდა და არც დღეს იცის. მაგ.: »ხენწიფესა ა-მეტია, აგრეთვე სიტყვაში თისა: სოშახა, უნდა იყოს: სოა-შახ; (М. Э., I, გვ. 10,11 და 60).

შევხდებით აგრეთვე შეუძლებელ შეერთებას ორ ბგერათა: გამკორაჟ [iqid. გვ. 35], სწორი იქნებოდა გამკორაჟ(უ).

უსაფუძვლოდ სტოვებს სიტყვის შუა ადგილას ბგერა. »ბ“-ს, რომელიც მეგრ. ენაში არის აღმნიშვნელი დაბრუნებითის (უკუმოქცევითი) მიმოხერისა: »დეებადია“ (გვ. 20) საჭიროა: »დეებაბდია“ (მე დავიბადე, родил-ся; არ არჩევს გრძელ „უ“-ს ჩვეულებრივისაგან, სწერს==უუუ, საჭიროა: უუუ; დუჯერათია და სხ.

ზოგიერთი სიტყვები ვერ არის სწორედ თარგმნილი: ოჩოკოჩი, პირდაპირის თარგმნით: თხა+კაცი და არა ტყის-კაცი <შეად. რუს. ზღაპრ. და განსაკ. „ბოვა-მეფის“ პოლკანი,

*) იხ. მისი „ანგარიშები“ მოგზაურობის შესახებ: „Ж. М. Н. Пр.,“ № XII, 1877, აგრეთვე „Къ Географіи Мингрелии“. Изв. Кавк. О. Р. Геогр. О-ва, II в. 5 т 1878 г.; „Два изслѣдователя Кавк. яз.-в“. Ж. М. Н. Пр. № II, 1880; „Сравнительный обзоръ морфологіи иберійской группы кавк-хъ языковъ“, СПб., 1872, ლიტოგრაფიულად გამოცემული.

მის უმთავრეს ნაწერს ნ. მარრი ასე უწოდებს: „М. Э “—»работа выдающаяся, для своего времени, сейчасъ полезная, а въ свое время не понятая“ (3. Вост. С.), 23 в., стр. 204).

შ. ბერიძე. მეგრული (ივერული) ენა“.

ნახევ. კაცი + ნახევ. ცხენი, ან აგრეთვე: ნახევ. ძალი და სხ. > უჩუნაფუ ნიშნავს იმასვე, რასაც რუსულად *недоварившийся* (მოუხარშავი) და არა „недопеченный“ (გვ. 44, I ნ.). ეს ტერმინი იხმარება სპეც. „ლო მის“ შესახებ, რომელსაც მართლაც ხარშვენ და არ აცხობენ.

„ხვითო“ — უწინარეს ყოვლისა აღმნიშვნელია გველის კვერცხისა და არა ძვირფ. ქვისა (*ibid*).

„ვაახაპუ“-ს აქვს მნიშვნელობა რუსული — „не сумѣлъ перескочить“, „танцовать“-ს და არა „не вскочилъ“ (прош., сов. вр.)

მეგრ. „წურწუფა“ || ქართ. წუმწუმა || რუს. сѣра, თარგნილია „огниво“-თ, რომლის აღმნიშვნელია მეგრ.-ქართულის — „საკვეცი“ და მრ. სხ., რომელთა ჩამოთვლას სხვა დროსთვის გადავდებთ. აღვნიშნავთ კი შემდეგს. თავის „М. მ.“-ს I ნაწილის მე IV გვ. ავტორი სწერს: „Судя по тому, что многія Географическія названія, несомнѣнно Мингрельскаго происхожденія и объяснимыя только по этимологіи этого языка, остаются нынѣ внѣ предѣловъ, занимаемыхъ нынѣ этимъ языкомъ, можно допустить, что въ былыя времена территорія мингр. языка была обширнѣе настоящей“...

ამის საბუთად მოჰყავს გეოგრაფიული ნომენკლატურა ჯიხაიში („ჯიხა“-ციხე, მეგ.) და სხ., მაგრამ, ჩვ. აზრით, ეს საბუთი დასამტკიცებლად მეგრ. ენის ტერიტორიის სიფართოვისა, ვერ გამოდგება და აი რატომ. საქმე თუ სახელწოდებაშია, მაშინ ზუგდიდი (ზურგი+დიდი),*) მოჰდანახე (მოდი+და+ნახე) და სხ. ამისთანები დამამტკიცებელნი იქნებიან იმისა, რომ ეხლანდელი ზუგდ. მაზრა ოდესღაც ჰყავებია ქართულ ენასა და არა მეგრულსა...

საინტერესო საკითხს მეგრული ენის ადგილისა სხვა იფეტურ ენათა შორის შეეხო პროფ. ნ. ი. მარტი 1910 წ.

*) ძველ ხელნაწერისა. იხ. ს. კაკაბაძე — „საცაფშლოს გამოსავლის დავთარი,“ 1913, გვ. 41.

მეგრული ენა განვითარდა ქართული ენის გავლენის ქვეშ, ქანური—თურქულისა. ორივე ენა —ახლო მონათესავეა ერთი მეორისა და იაფეტურ ენათა შორის უკავიათ, ე. წ. თუბალკაინური ჯგუფისადგილი. თუბალური (ივერიული ანუ მეგრული) —კაინური (ქანური ანუ ლაზური). ამ ჯგუფს მოსდევს ჯგუფი სვან-სომხური, მას კაშდ-მოსოხური (ქართ.) და ამ უკანასკნელს ჯგუფი გამოუკვლევ (მკვდარ ენათა: სუზური, ელამური, სუმერული და სხ.*)

პირველად დაწვრილებით უცხოელთა შორის, მეგრულ ენის გრამმატიკას შეეხო Th. Kluge—„Beiträge zur Mingrelischen Grammatik“, 1913 წ. Memnon (Zeitschrift für die Kunst und Kultur Geschichte des Alten Orients. ტ. 7, გვ. 46—63). თ. კლუგემ გამოსცა 1913 წელს ეს პირველი ნაწილი თავის შრომისა— შედეგი სამეცნიერო მოგზაურობისა (ბერლინი—ახალსენაკი)—1912 წ. ზაფხულში. ამ შრომაში მას განხილული აქვს სხ. და სხ. მხარე მეგრ. ენისა (უღვლილებამდე), მაგრამ ახალი რამ ვერ შესძინა საკითხსა და ამ მხრივ „დაიხია უკან“ (იხ. ი. ყ—ძის რეცენზია ამ შრომისა—„Зап. Восточн. О. Р. Арх. О.“, т. 22, 1915**).

ჩვენს მეცნიერთა შორის მეგრული ენის შესწავლა უმაღლეს საფეხურზე აღიყვანა უდროოდ განსვენებულმა პროფ. იოს. ყიფშიძემ (+1919), რომლის უმთავრესი შრომა —„Граммати́ка мингрельск. (иверскаго) языка съ хрестом. и словаремъ,“ 1914, С.П.Б. — შედეგია 4 წლის შრომისა და სამეგრელოში არა ერთხელ ხანგრძლივის მოგზაურობისა. ***)

ი. ყიფშიძის ამ შრომით აღტაცებული ნ. მარბი 1915 წ. სწერდა: „მისი შრომა—რეალურად მოწმობს ახალი ხანის დადგომას კავკასიის ენათა შესწავლაში,“... თუმცა არ ეთანხმებოდა ზოგიერთ მის დებულებებს.

*) იხ. მისი—„Грамм. чанск. (лазского) языка“... 1910, С.П.Б. გვ. IX—XXII.

**) კლუგეს ამ შრომამ, სხ. შორ., გამოაშკარავა მისი უცნობლობა ცივარელისა და ქარაიის ნაწილებისა მეგრ. ენის შესახებ.

***) იხ. მარბის რეცენზია ამ შრომის შესახებ: Зап. Восточ. Орд. Р. А. О. 23 томъ 1915г. გვ. 203-16, вып. I-II

ჩვენ ვერ შევხებით განსვენებულ ი. ყიფშიძის ნაწერის დადებით მხარეებს, რადგანაც ეს ფრიალ შორს წაგვიყვანდა. *)

შევეხებით, მხოლოდ რამოდენიმე სიტყვით ზოგიერთ ნაკლულევანებას.

ავტორი „გრამატიკისა“ უარყოფს არსებობას მეგრ. ენაში გრძელ ხმოვანთა (იხ. გვ. 010, § 5, 6.)

მეგრული ენას უძველეს დროიდან, რამდენადაც მოწმობენ, სხვ. შორის, მისივე მასალები ცოდნია და დღემდე შეუნარჩუნებია ხმარება გრძელ ხმოვანთა, მაგ.: მ^იშას (დევ, წავიდეს), მ^იშ^რს (მოდის), ამბ^ე—(ამბავი, „სადაც „ე“ მეგრ. ენის ყველა თქმაში გრძელია) და სხ.

„შინაფა“ (გვ. 079) უდრის არა მარტო რუსულ „помнить“-ს, არამედ: „упоминать; распухать“-ს.

ზოგჯერ კოჭლობს მართლწერა. „ნდიი“-ს მაგიერ უფრო შეეფერება მეგრ. ენის ყველა თქმას—ნდ^ი ან ნდ^ე. წინადადების ბოლოს უარყოფს სუფიქსს—„ნი“: „ჯოხოდ ხეჩონი“ და არა „ხეჩო“ (გვ. 20), აგრეთვე გვ. 15: დათა ჯოხო (ნი); „კკვერი“ და არა კკვერი (გვ. 23). სხ. შორის, თავის გრამატიკის I ნაწ. ავტორი თითონ აღნიშნავს „ი“-ს თანდათან გამაგრებას და მის გადაგვარებას მ. ენიდგან.

სიტყვა „ახავაჲ—წარმომდგარია შორისდებულის შეერთებიდგან: 1) ახ+ვაჲ, იწერება ასე (ახავაჲ და არა „ახავაი“ (გვ. 139); ავტორი ზოგჯერ იმეორებს ა. ცაგ—ლის შეცდომებს: უწუ („უ“-დაბოლოება); და სხ.; მეგრ. გვართა სიის შესახებ ვიტყვი, რომ ისინი სულ არ იყვნენ საჭირო, ხოლო თუ მოიყვანდა საჭირო იყო მეტი სისწორე: „აშორტია“ და არა „აშორდა“ (გვ. 423); ბერაია—მეგრ. გვარია. ბერიძე—საკუთრ. გურული და მაშასადამე „ბერაია“ არ უდრის „ბერიძე“-ს (ეს უკა-

*) იხ. ჩვენი „იოს. ყიფშიძე, მისი ცხოვრ. და სამეცნიერო „მოღვაწეობა“ („საქართველო“, 21, 24 თებერვ. №№ 1920“) და „განათლ.“ № 2, 1920.

ნასკნ. გვარი, გარდა გუბიისა, გვხვდება საქართ. თითქმის ყველა კუთხეში: რაჭაში, საკუთარ. იმერეთში, კახეთში და აქარა-ლახისტანშიც კი. (სამეგრელოში ამ გვარეულობის წარმომადგენელი გადმოსულან გურიიდან მე-18-ს. დასაწყ.) „ბერიძე“, როგორც სახელი და არა გვარი, გვხვდება - მთაში. საჭირო იყო გვარების მოყვანის დროს უსათუოდ დაცვა მეგრ. გამოთქმისა. გვართა დაბოლოება-„ვა“-ზე უფრო ქართულია, ვიდრე მეგრული (გამონაკლისი: თაღვა, ბიგვა და სხ.) ამიტომ „Списокъ минирельскихъ фамилиі“ -ს ქვეშ სიმართლე მოითხოვდა რომ ყოფილიყო: აკირტა და არა აკირტავა, აფხაზ ა, ბაჩილ ა, ვაბედ ა და სხ. აგრეთვე: ბერულა და არა „ბირულავა“. მეგრ. ბომბუა *) არ უდრის ქართ. ბომბუაშიგის და თუ ეს უკანასკნელი ჰქონდა სახეში ავტორს და შეხვედრია ასეთი გვარი სამეგრელოს ტერიტორიაზე უსათუოდ გაიგონებდა: ბომბუასკუას და ასეც უნდა დაეწერა. ხოლო თუ ეს სმენია სამეგრელოს იმ რაიონში, რომელსაც სამართლიანად „გაქართველებული“ უნდა ეწოდოს (გორდი, კინჩხა, ხუნწი), მაშინ ეს უნდა აღენიშნა ავტორს და სხ. **)

არა .ქეს აღნიშნული, სხვა მრ. დეტალებთან, მეგრული ენის მკვლევარს ამ ენის ე. წ. სიტყვის მასალები ანუ ფართოვანი სიტყვები *) ამის. მაგალითები მ. ენას ბლომად მოეპოვება. ესენი არიან: 1) „დუდი ხეშა ვამილუ“, რაც ნიშნავს „არა მკალიან“-ს (სიტყვა-სიტყვით-“თავი ხელთ არა მაქეს)

2) „ჯიმა ლურელი!“ --- განცვიფრების გამომხატველია, ზოგჯერ მწუხარებისა და სხ.

3) ეშე ცა დო გიმე დიხა! --- შეუძლებლობის აღმნიშვნელია,

*) შეად. „ბომბუას ხიდი“, ბომბუაში ხინჯი, სენაკ. მაზრა, ცხ. წყალზე, ი. ყ--ის „ლექსიკ“.

**) ასევე სამურზაყანოს (ენგურიდან—ლალიძემდე, ზედ ქალ. ოჩემჩირეს კარებამდე) უნდა ეწოდოს „გამეგრელებული“ რაიონი, რადგანაც აქ ვერ გაიგონებთ, როგორც ჰი ნი წლ. წინად აფხაზურსა: ბატონობს მეგრული. ინტელიგენციამ (გალი-აჩიგვარა) იცის, რა თქ. უნდა, რუსული წ.-კითხვა, ლაპარაკობს მეგრულად და არ იცის ქართული. ამავე რაიონს ჩვენ არა ერთხელ უწოდეთ „გარეთ—სამეგრელო“ (1920. „საქ“ და „განათლ.“):

- 1) ხუჯი მარხენს!—ვეგრძნობ, რომ მიყვარს სწორის გზითა
- 2) ქოთქუ შონურბ! არა ჩვეულებრივი,
- 3) ქიანას გიშაყოთამა!—გალანძღვა, თავის მოქრა,
- 4) კინჩხიში ტახუა! დაღუპვა,
- 5) ჭყორიში ქოფუა—გაწყრომა,
- 6) გურს გეხანტუა—მეტის მეტი სიყვარული (ირონია),
- 7) ლართამო დინათა—დაღუპვა სამუდამოდ და მრ. სხ. *)

ძალიან მცირე შემთხვევებია მოყვანილი, ე. წ. თიკუნისა, табу, соб. запретъ **) მეგრ. ენაში [იხ. I, 0145 — 46, სულ 10 მაგალ.); აღვნიშნავთ ზოგიერთ, იქ არ მოყვანილ მაგალითებს, უმთავრესად ჩვენ მიერ შეგროვილი მასალების მიხედვით: 1) ქუ აში მახუალი (გაიძვერა, ეშმაკი კაცი, ორჭოფი),

- 2) ტურა (იმავე მნიშვნელობისა),
- 3) ეშმაკი (თხას უწოდებენ),
- 4) მაზაკვალი (ყურდგელი),
- 5) ღვა-ქიქე (საკუთრ. მცირე—ლოყებიანი, ბაყაყი),
- 6) ქვიშა (ხმელეთი, იხ. ყ—ძე, I, 31),
- 7) ბედნიერი (ქმარი), 8) დუდი ფურჩამი (ბრიყვი), 9)

ხუჯი ფირა—ვირი, 10) დუდიში მახაკალი (გველი), 11) მანგარალი—ეს საერთო ეპითეთია საყვარელ არსებათათვის, აგრე უწოდებენ ერთმანეთს შეყვარებულნი, ცოლ-ქმარნი, დედ-მამა შვილებსა და სხ.

12) ღუმუში ჭყუჯი—უსაქმოდ მოხეტიალე, უსარგებლო, რუს. рото́зый (ротъ + зѣвать), 13) ბორო პაპაში ნანათა—ბრიყვი, სულელი, 14) ურწმუნო—გველი და სხ.

ავტორი „Грамм. м. языка... რატომღაც ყურადღე-

*) იხ. „ქართ. ფრთოვანი სიტყვები“, აღ. ყიფშიძე, „მომამუ“ № 4, 1903, გვ. 1-27; ან რუს. Рѣченія и крылатыя слова“, Максимовъ, Мос., 1890.

**) ოსური ენის საყურადღებო მაგალითები იხ. Д рь А. Дирь— „Божество охоты и охотничій языкъ укавказцевъ,“ Т., стр. 10, ან Кайтмазовъ, — „Скугой богачъ,“ Сб. матер... 13 в., стр. 142 II отд.

ბლად სტოკებს ქართულ ესაზედ დაწერ. სტატოებს, საინტერესოს მისი საკითხისათვის და არ ასახელებს მათ. ასეთებია სტ. ს ჯ.: „იაფეტური თეორია და მესხ.-აფხაზთა ვინაობა,“ კოლხ. 1912, №№ 43-44, ნ. ჯ., „კავკ. ენები და იაფეტ. ენათ-მეცნიერება“ ნ. ჯორჯიკია, „გან.“ 1913. № 7, გვ. 506-09; „ქ. ენის მოყვარულთა საყურად.“ „გან. 1913, № 8, დ. ჩქოტუა და სხ., რომელნიც ქვევით არიან ნაჩვენებნი შენიშვნებში.) *)

*) დანარჩენი მაგალითები მოყვანილნი იქნებიან ზუგდ.-სამურზაყ.—ჯვარის ტექსტებში. შენიშვნები ი. ყ—ძის „ლექსიკონის“ შესახებ იხ. აქვე: „სალექსიკონო მასალაში, სიტყვ.: „დამორჩილი“, „ჟამი“, „რაბადი“ და სხ.



მ. ზოგიერთი თვისებები შეგ. ენისა. არ აღნიშნული მისი უმთარვეს
მკვლევართა მიერ.

ყოველსავე ენას ახასიათებს რაამე თვისება და უმთავრეს
დამახასიათებელ თვისებად ჩვენი ენისა უნდა მივიჩნიოთ მი-
დრეკილება **ბგერათა გადაჯგუფებისადმი** ქართულთან შედარე-
ბით.

მაგალითები: მ. მარგალი || ქ. მეგრელი.

- „ ობრი || ორბი,
- „ ორქო*) || ოქრო,
- „ ფირქი || ფიქრი,
- „ სანარტელი**) || სანატრელი,
- „ მართახი || მათრახი,
- „ ნოშქერი || ნახშირი,
- „ კეპრი || კერპი,
- „ ნირსი || ქ. ნისლი,
- „ რგილი || გრილი,
- „ მარდობა || მადლობა,
- „ ქირსიანი || ქრისტიანი და სხ.

ხშირად მეგრ. ენა სრულხმოვანების დასაცავად თანხმო-
ვანსა და ხმოვანს გადუღნაცვლებს ადგილებს, როგორც უკა-
ნასკნელ მაგალითშია, ან კიდევ ქ. ბედნიერი || მ. ბედნიერი;
ქ. ბრეწოული (დიალ. ბროწეული) || მ. ბერწული; ქ. მერცხა-
ლი || მ. მაჭრიხოლი (დიალ. მარჭიხოლი, მაჭირიხოლი) და სხ.

ზევით მოყვანილი მაგალითები ბგერათა გადაჯგუფე-
ბისა: „მარგალი,“ „ობრი“ და სხ. არიან დღეს მეგრულ
ენისსხ. და სხ. თქმებში გა ბ ა ტ ო ნ ე ბ უ ლ ნ ი; „ღრისი,“
„რღისი“ და „რიღისი“-ც კი ხშირად გვსმენია უკა-

*) საკუთ. სახელი ორქოია, აგრეთვე გვარი დღესაც ბლომადაა
სამეგრ-ში. იხ. „საცაფლოს გამოსავლის დავთარი“—ს. კაკაბაძე,
ტფ. 1913, გვ. 19: ორქო-ოქრო ბერძნ. χρυσός, ძვ. ებრ. ხარუც
უნდა იყოს იაფეტური წარმოშობისა და არა პირდაპირ სემიტურისა
(იხ. Гельвальдъ — „Ист. иск.“ 1897, стр. 132 С. II-В.).

**) საკუთ. სახ. ცნობილ მეგრულ ზღაპარში—„სანარტია,“ იხ.
ცაგარელი—М.ЭТЮДЫ,“ I. გვ. 38—46. ფრანგ. თარგმანი ამ ზღაპ-
რისა იხ. I. Mourier — „Contes et légendes du Caucase“, Paris,
1888, p p. 37—80, „Contes Mingréliens“.

ნასკნელ მოგზაურობის დროს ოჩე-კურზუს (სენაკ. მაზრა) რა-
იონებში. აგრეთვე: ოვერდ || ევედრება, რქელი || ჭრელი,
ვარჭუა || ვაჭრობა, თრუმე, რთუმე*) || თურმე და მრ. სხ.

ზოგიერთს შემთხვევაში მეგრული ენა იძლევა სრულ
ხმოვანების საწინააღმდეგო მაგალითსა. შეად. ქ. ბელუ-
რა სვან. ბანდრე—მეგრ. ბანდრე. ამ მაგალით. ქ. ბე-
ლურა—იცავს სრულ-ხმოვანებას, მეგრ., წინააღმდეგ მისივე
თვისებისა, არ იცავს ამას (მეგრ. სრულ-ხმოვ. შესახებ იხ. ა.
ცაგარ. „მ. მ.“ II) გვ. 87). შეად. მ. ფალვა, ქ. ფალვა
და სხ.

ზოგიერთ შემთხვევაში ქართულმა ენამაც იცის გა-
დაჯგუფება, მაგ.: ნაფხე || ვნახე; თუთხმეტი==თ-ხუთმეტის**)
მაგიერ, ძრიელ ძლიერ-ს მაგიერ (ივ. კერესელიძე ერთ წე-
რილში 1890 წ. სამჯერ ხმარობს „ძრიელ“-ს: „ძრიელ მეწყი-
ნა,“ „ძრიელ შეეწუხდი“ და „ძრიელ მადლობელი;“ ზ. ჭიქ.
„ივ. ივ. კერესელიძე,“ 1829-93, ტფ. 1902 წ., გვ. 37).

მეგრული ენის ერთ-ერთუმთავრეს თვისებათაგანს შეა-
დგენს აგრეთვე ზმნათა სიუხვე, სიმრავლე, შედარებით არსე-
ბითი და სხ. საგრამატიკო სახელებთან,***)) რაც უნდა მოწ-
მობდეს მის სიძველესა და ზოგიერთ ზმნათა პირველყო-
ფილობას. მაგ. ცნება: „გალახვა“, „ძლევა“-ს შესატყვისად
არსებობდნენ ზმნები: გოლახ (ორჯგინ), დოზეპუ (ზეპუა),****)
დოგვაგუ (გვაგუა), დოჯგვაჯგუ, დობურსუ, დოზუ (ზალა სა-
კუთრ. დაზილვა, მოზილვა), დოდგედგ (დგედგუა, აქედან გო-
დგედგილი საკუთრ. გალახული, ნიშნავს უზნეოს (ქალს), ენა
მყრალს და სხ.), დოჭიბუ, დოღვენდ (იტყვიან აგრეთვე ცხე-

*) იხ. მ. მ., I, გვ. 4, 14, 20, 59,

***) ამის მაგალ. იხ. ე. თაყაიშვილი—„დაეოარი ქუთ. ს. გამოს.
ბეგრ. შედგ. 1578 წ.“ ტფ 1915, გვ. 65, 67, 69.

****) ამერიკ. მეცნიერმა პროფ. ბრინტონმა ამერიკის სხ. და სხ.
ენათა შესახებ ასეთივე თვისება აღნიშნა, სხ. შორის.

*****) „ზეპუ“-სიმრავლის აღმნიშვნელია. პრეფ. დო ძლევეს მას
სულ სხვა აზრსა (გალახა).

ნის შესახებ, სიტყვა წარმომდგარია, ჩვ. აზრით, სიტყვიდან „ლყედი“ და მართლაც „ლყენდუა“ აღმნიშვნელია მათრახით (ლყედით გალახვისა), დოჟგერთ, დოზანქ და მრ. სხ.

„გადახტომა-გადმოხტომის“ (ერთი უძველეს ცნებათაგანია) შესატყვისად იხმარებიან ერთი და იმავე მნიშვნელობის ხოლო სხ. და სხვა მიხვრა-მოხვრის (მოქმედების მომენტის, გამომხატველი ზმნები: გეგნოსხაჰუ,*) გეგნოლენდ, გეგნოქვენდ, გეგნიბურინ, გეგნოქენჩ, გეგნიქურინ (მ. ქური || ქ. ქუსლი), გეგნიტურინ და მრ. სხ., რომელთა სრული ჩამოთვლა არც მ. და მაინც საჭიროდ და არც შესაძლებლად მიგვაჩნია.

მრავალი ზმნები გამომხატველნი არიან სახის სხ. და სხ. გამომეტყველებისა, ყოველივე მიხვრა-მოხვრის, ხასიათისა: ორიენანს (იყურება, საკუთრ. იხედება ორივე თვალდაქყეტილი), ოყვიბინანს (აღმნიშვნელია იმავე გამომეტყველებისა), ობირდინანს (შეად. ოყვიბინანს), ოსვისვინანს (— მორცხვად) და მრ. სხ.

მეგრული ენის ერთ უმთავრეს თვისებათაგანს შეადგენს ბგერა „ჲ“, რომელიც არის შედეგი ხმის ნაპრალის დახვისა. ეს უ მოწმობს, ჩვენის აზრით, მეგრული ენის მიერ ზოგიერთ პირველ-ყოფილ მხარეების შენარჩუნებას. ზოგიერთი სიტყვები ქართ. ენის თუშურ და ინგილოურ თქმათა ჰმოწმობენ ამსვე (ივაფი სახელი, ქაჲაზე-გვარი, ქილტაჲიკალია; ინგილ. აჲრ— არა და სხ.). ***)

გვაქვს საბუთი ვითიქროთ, როთ ბგერა „ჲ“ ოდესღაც შეადგენდა იაფეტ. შტოჲს ენათა თვისებას და არსებობდა იაფეტურ წინა-ენაში***) (ენა-მამამთავარი, **пpяязыкъ**.)

*) მაგალ მოგვეყავს, გაგების გასაადვილებლად, ნე III პ.; გინოსხაჰუ—ერთი მეგრ. ნასახელარ ზმნათაგანია (იხ ამ. შესახ.—ა. შანიძე—„ნასახელ. ზმნები ქართულში“, 1919; ი. ყ—ძე „ასსიმ. და დისსიმ წესი ქ. და მეგრულში“, ტფ. უნივ. მოამბე, №1.

**) დანარჩენი მაგალ. ახ. ა. შანიძას სტატ.—„ქართ. კილოები მთაში, გვ. 191 „კრებულა“, პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით. პეტერბ.-ტფილისი 1915

***) ანუ წინამორბედი. ის საერთო ენა უუძველესი დროჲსა, როდესაც არ არსებობდა განსაკუთრებით: არც ქართ., არც მეგრ., სვან., ჭან. და აბხაზური (სომხ?), რომელმაც წარმოშვა სხ და სხ. დროს ნახსენები ენები, თითონ კი უგზო-უკვლოდ მიიკარგა (მკვლ. ენა).

მეგრ. ენის (უმთავრესად ზუგდიდი-ჯვარის და არა ზუგდ. სამურზაყანოს თქმისა, როგორც აღნიშნავდნენ: ცაგარ., ყიფ-შიძე და სხ.) ბგერა ე — ც არის აგრეთვე თვისება იაფეტურ წინა ენისა და უნდა იგულისხმებოდეს, როგორც ნაშთი ამ უძველეს ენა — წინამორბედისა. ე — არის მოკლე ხმოვანი და მისი დანიშნულებაა წარმოება მარცვლისა. იგი უდრის ზოგჯერ მოკლე „ი“-ს, ზოგჯერ მ. „უ“-ს და სხ. (შეად. კიღ, || კედ; კიკიკიტა || კკკკკტა; ქუმმაზადე, || ქმმაზადე; ქამუ || ქმუმამზადე და სხ. *) (შესაფერ სიმოკლის ნიშნების შექმნა შეუძლებელი შეიქნა არსებულ პირობებში).

ეს „ე“ გვხვდება სომხურში, როგორც მარცვლის მწარმოებელი (შეად. *Էն-կავ-დაეცա*), ხოლო წმიდა — იაფეტურ ენათა შორის — სვანურში, მაგ : მხარ — ხვალ, საწინ — დარ — საწინდარი, აღზზე — გააგზავნა, ღებგე — გამაგრებული (ზოგიერთ შემთხვევაში აღმნიშვნელია სიტოანქისა, ხასიათ.), აბხაზ. — აკე — მეგრ. აკა და სხ.

მეგრულ ენას ახასიათებს აგრეთვე სიმრავლე ტრიფტონგთა. მაგ. მამას, მამალური (აბაშა — ბანძა — მარტე. თქ.), პერთაია, კვირაია, პატარაია, თევზაია, ბარკალაია; საკ. სახელები ბურდლაია (ქალ.), ბურდლუია (ვაჟ.), გუია და სხ.

მეგრ. ენის არსებულ თქმათა შორის ყველაზე უფრო დიდი მიღრეკილება სრულხმოვანებისადმი აქვს აბაშა — ბანძა — მარტვილის თქმას, მიუხედავად ქართული ენის სიახლოვისა და გავლენისა. ხშირია გამოთქმა.: ხომ ილა (სხვა კუთხის „ხომლა“), გობლახუნა (— ხუნა), ქუმურსი (ქმურს) და სხ. **)

*) იხ. ყ — ძე — „Гр. м яз.“, გვ. 03 და ნ. მარტი — რეცენზია: Зап. Вост. Отд. Р. Археолог. О-ва, Т. 23, 415, стр. 210—11

**) შეად. გადაჯგუფების, ანუ ბგერათა შეცვლის მაგალითები. ეს არა აქვს აღნიშნული ნ. მარტის თავის ნახს. რეცენზიაში (ი. ყ — ძის „გრამატი.“ 1914)



1. ქართული და მასთან მონათესავე ენები (მეგრული, ჯანური, სვანური, აბხაზური, ჰაიკური).

(სამეცნიერო თეორიათა განხილვა: ლეჰენიცი—მარრი).

ენათ -მეცნიერება ჰყოფს ენებს სხ. და სხ. ოჯახებად, ოჯახებს შტოებად, შტოებს კი ჯგუფებად და ძნელია იმის წარმოდგენაც კი, თუ რამდენად რთულია და თავ-სატეხი გადაწყვეტა იმისა, თუ რომელ ოჯახს, შტოს და ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს ესა თუ ის ენა, ე. წ. „შედარებითის მეთოდის“ საშუალებით, რადგანაც წყარო, სფერო შედარებისა უშრეტელია, თვალ-უწვდენელი.

მონათესავე ენებად კი ითვლებიან ის ენები, რომელთაც ოდესღაც ჰყოლიათ ერთი, საერთო წინამორბედი ენა, ენა—მამამთავარი, ენა—წარმომშობი და თუმცა თანდათან, დროთა მსვლელობისა და სხ. ენათა გავლენისა გამო, გამოუცვლიათ სახე—ხასიათი, დაშორებულან ერთმანეთს (ტერიტორ.), მაგრამ **ნათესაობა** ერთმანეთს შორის მაინც შერჩენიათ, ზოგიერთი: ფონეტიკური *) მორფოლოგიური **) და სინტაქსური ***)) მხარეების უცვლელობის გამო. ****))

უძველეს დროიდან კავკასიის სამართლიანად უწოდებდნენ —„ენათა მთას“ — ენების აუარებლობისა, სიმრავლისა გამო დედა-მიწის ამ კუთხეში და მართლაც, აქ, ქართლისა და მასთან აშკარად მონათესავე: მეგრ. — ჯანურ — სვანურ — აბხაზურის გარდა გაიგონებდით: სომხურს, ქურთულს, ოსურს, ჩაჩნურს, სპარსულს, თურქულს (ანუ „ოსმალურს-“), თათრულს და ვინ იცის, კიდევ რამდენს, დღეს უკვე არ არსებულთ და მკვდართა ყოველსავე ერისათვის (სუმერული, ხეთური, ელამ. და სხ)

*) სწავლა ბგერათა, ხმათა შესახებ.

**) სწ. სიტყვათა (არსებ. სახ. და ზმნათა) ფორმების შესახებ (კანკლედობა უღლილება).

***)) სწ. სიტყვების შეთანხმების შესახებ (წინადადებაში, აზრში.)

****)) მისაღებია მხედველობაში აგრეთვე ლექსიკოლოგიური მასალა (სიტყვათა მნიშვნელობა, მათი იგივეობა, წარმოშობა სხ. და სხ. ენებში; ბერძნ. აემასიოლოგია.).

საკითხი, — ქართ. ენის ნათესაობისა და მისი ადგილისა სხ. ენათა შორის — იყო ისეთ გამოცხადებად ენათ — მეცნიერთათვის, რომელზედაც ისინი თავს იმტვრევდნენ, საკითხს ასე თუ ისე სწყვეტდნენ და ბოლოს კი ირკვეოდა და, ზოგჯერ თითონაც არ უარყოფდნენ, რომ თვის გადაწყვეტილებაში სასტიკათა სცდებოდნენ. *)

ერთნი მიაკუთვნებდნენ ქართულსა და მონათესავე ენებს, ე. წ. ჰინდო-ევროპიულ (ანუ ჰინდო-გერმანულ, გერმ. მეცნ. თერმინოლოგიით) ენათა ოჯახს. **)

მეორენი კი უარყოფდნენ ამას და ქართული ჯგუფის ენები შექმნდათ ე. წ. ურალ-ალტაის ენათა ოჯახში (თურქული, თათრული, ფინური, ყირგიზული და სხ.) ეს არის — ე. წ. „თურანული თეორია“ ქართ. ენის წარმოშობისა.

მესამენი უარყოფდნენ ორივეს და, რაკი ვერ პოულობდნენ მისთვის ადგილს სხ. ენათა შორის, — გამოჰყოფდნენ მას არსებულ ენათა ოჯახებიდგან, ამორებდნენ მათ და მიაკუთვნებდნენ ენათ მეცნიერების საღაროში განსაკუთრებულ, განცალკევებულ კუნჭულსა და ამ დამოუკიდებელ ჯგუფს უწოდებდნენ — „იზოლიურ ენათა ოჯახს“ ***).

*) მრავალ-ენოვნება კავკასიისა შედეგი იყო — მრავალ-ენოვნებისა. — ეს უკანასკნელი კი, შეიძლება აიხსნას ანტროპოლოგიური ფაქტორით: ტომთა აღრეულობით, ერთმანეთის უტოლინარობით, მოწყვეტილობით და მრ. სხ.

**) აქ შედიან: სანსკრიტული (უძველესი სამწერლ. ენა ჰინდოეთისა), ლათინური, ბერძნული, ევროპის ენები — ფრანგ., იტალ., გერმ. ინგლისური და სხ., სლავიანური ენები — რუსული, პოლონური, ჩეხური, სალოვაკური, სერბიული და სხ., მათ შორის მკვდარი სლავიანური — პოლაბური ენა; ბალტიის ჯგუფის ენები ლათინური, ლიტვური და უკვე მკვდარი ძვ. — პრუსიული; აღმოსავლეთის ენებიდგან: სპარსული, ქუროთული, ოსური და (სომხური?) — ამის შესახებ ქვ.

***) ამ თეორიის შემქმნელი გერმ. მეცნ. Fr. Müller — ქართველერსაც ნათლავდა — იზოლიურ ვრად, განცალკევებულ ხალხად, სხ. ერთა შორის, ანთროპოლოგიურად („Solirte Völker“ განმარტოებული ერი“) საქართველოს ანთროპოლოგიის კითხვები იხ. აღ. ჯავახიშვილის წიგნში: „Антропология Грузии“, Моск., 1914 შრომის ავტორი დედა-მიწის ერთა შორის (კლასიფიკაც.) ქართველთა ტიპსაკუთვნებს დამოუკიდებელ ადგილსა. (რეცენზია თბუზულეებისა იხ. ოდესის უნივ. სტუდ კრებულში: „ცხოვრება და მეცნიერება“, ქუთაისი, გვ. 4 — მ, განყოფ. III).

შეოთხენი ქართულსა და მონათესავე ენებს უპირდაპირე-
ბდნენ სემიტურ ოჯახის ენებსა (ურთული ანუ ჰებრაული, არა-
ბული, ასსურული, კობტური, ეთიოპური და სხ.) პოულობ-
დნენ მრავალ საერთო ლინგვისტურ თვისებებსა და ამიტომაც
შეჰქონდათ ამ ენათა სიაში.

საკითხის ასეთ გადაწყვეტილობას, მის სიბუნდოვანეს ხელს
უწყობდა, უწინარეს ყოვლისა: უცოდინარობა (საკმარისად კარ-
გად) ქართულისა და მასთან მონათესავე ენებისა, მკვლევართა
მიერ; გამოუცემლობა ამ ენათა სალიტერატურო მასალებისა
*) და სიმრავლე სულ სხ. და სხ. ენების ელემენტებისა ჩვენს
ენაში.

ქართულ ენაში პოულობდნენ და ეპოულობთ შემდეგ
ენათა ელემენტებს: სომხურისას, **) არაბულისას, სპარსული-
სას, თურქულისას, ურთულისას ბერძნ.-ლათინურისას და მრ.
სხ. უკვე არ არსებულ, მკვდარ ენებიდგან კი პოულობდნენ
მრავლად ელემენტებს— „სუმმერულ ენისას ***)

მეგრულში შეეძლოთ ეპოვნათ: სომხური, ბერძნული და
სლავიანური ენების ელემენტები, ქანურში—თურქულისა,
აზნაურში—ბერძნულისა და ოსურისა. ****)

ყველაზედ უწინ სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული
ენის მეცნიერულად განსაზღვრა სცადა გერმ. მოაზრემ ლეი-
ბნიცმა († 1716).

ჯერ კიდევ 1695 წ, გამოაქვეყნა მან თვისი აზრი ქარ-
თული ენის ახლო ნათესაობაზე ბერძნულ—ლათინურ—სომ-

*1) განსაკუთრებით კავკასიის ე. წ. „უმწერლობო ენების“ მა-
სალებისა: მაგრული, ქანური, სვანური და აზნაურისა.

**) ძვ ჰაიკური, რომელიც ვიზარდებოდა სპარსულ და ქურ-
თულ ენათა პირდაპირის გავლენის ქვეშ ამრს შესახ. იხ წიგ-
ნაკი — „Древне-армянский или чакский. Степень близости Осо-
бенности. Развитие и пр.“, მოსკ., 1919.

***) მცირე აზიის ლურსმულ წარწერთა ენა, 1.000 წლ. წ. ქრ.
დაბ. იხ. მ. წერეთლის სტ: — „სუმ. და ქართული“, „გვირგვინი“, 1912
გვ. 27—117.

****) მეგრ. ენის მაგალით , შეად.: მ. ჯანკი — სომხ. *մանք*, გორდი
ყირი კატუ — სომხ. *կითი* კატა; სლავ. *жаба*. მ. ევაბუ და სხ.
და სხ. იხ. ნ. მარრი — „къ вопросу о ближайшемъ родствѣ. арм.
яз. съ иверскимъ“ З. В. О. Р. А. О., т. 19, 1909, გვ. 072.

ხურთან. მან შეადარა ერთმანეთს 140-მდე სიტყვა ქართ. ენი-
სა ბერძნ.-ლათინურ-სომხურისას.

ქართული: „ცა“ დაუპირდაპირა ბერძნ.—Ζαΰς-ს და მო-
უპოვა ერთმანეთთან მსგავსება,

„	„კლიტე“, დიალ. „კილტე“	κλις „
„	„ჰაერი“	ჰერ „
„	„ნავი“	ნავ „

ქართ. — ფეხი დაუპირდაპირა ლათ. „pes, dis—ს,

„ სერობა (მ. სერი —ლამე) — „Serus, vesper და სხ., მაგ-
რამ ენათა გენეალოგიურ ნათესაობისათვის არ არის საკმარისი
მარტო მსგავსება სიტყვათა, საჭიროა კვლევა სხ. მხარეებისა:
ფორმათა (მორფოლოგ.), ბგერათა (ფონეტ.) და მრ. სხ.

საჭირო იყო გაღრმავება კვლევა— ძიებისა, რის ძალა ფი-
ლოლოგიის არ შესწევდა ქართული ენის უცოდინარობისა გა-
მო. ლეგენიკს საშუალება ჰქონდა გასცნობოდა ქართულ ენას
ზერელე — „ქართულ—იტალიურ ლექსიკონის—ს შემწეობით,
რომელიც პაულინმა და ირბახმა *) 1626 წ. გამოსცეს რომ-
ში. შეიძლება სცნობოდა— „ქართ. გრამ.“, ლათინურ ენაზე
შედგენილი იტალ. ბერის—მადეის მიერ და 1643 წ. რომ-
შივე გამოცემულს.

*) ირბახი (კლაპროტუსა და სენ-მარტენის ცნობებით) ტომით
ქართველი იყო, აგრეთვე ცნობილი მთელს წინა აზიაში, როგორც
მრავალ მხრივ განათლებული კაცი და დიპლომატა ირბახის შესახ.
ცნობები იხ.: 1) „Путешествіе по Кавказу“ Шардена (†1713)
ან მასაკე: „Journal du voyage..... et par la Colchide“, Amsterd.,
1711.

2) Исарловъ — „Письма о Гр.“, 1899. გვ. 369—70; 1604 წ.
რომში გაიხსნა — „მისსიონერთა უკოლა“, სადაც ქართ. ენის
სწავლება მინდობილი ჰქონდა ირბახსა. აქვე მოქმედებდნენ: მისიო-
ნერი მადეი, ენათ-მეცნიერი პაულინი და სხ. ამათის შემწეობით გა-
მოიცა რომში. სხ. შორ.: ქართული ანბანი („Alphabetum ibericum“,
1625). „ქართ. გრამ.“, 1643, „ლათ.—ქართ.—თათრული ლექსიკონი
და სხ. (განხილვა ამათი იხ. მ. ჯანაშვი. რეც. „ივერ.“ 1894 წლის
ერთ ერთ №-ში).

ლექსების შემდეგ ყუჩადსაღები აზრი ჩვენის საკითხისა გამოსთქვა „შედარებითი ენათ—მეცნიერების დამაარსებელმა — მამამთავარმა, გერმ. მეცნიერმა — ფრანც ბოპპმა (+1867), რომელმაც ფრანგ ენათ-მეცნიერმა ა. მეიემ (A. Meillet) სთქვა (1903), რომ — „ბოპპმა ჰპოვა შედარებითი გრამატიკა და მისი მნიშვნელობა, ეძიებდა კი ინდოეთ ევროპის ენათა წარმომშობს, ისევე როგორც კოლუმბომ ჰპოვა ამერიკა — ეძიებდა კი გზასა ინდოეთისას“ —ო.

თვისი მოქმედება ამ მეცნიერმა იწყო უძველეს ინდოეთის სამწერლობო ენის, ე. წ. სანსკრიტის შესწავლით და მისი შედარებით ბერძნულ-ლათინურ-სპარს.-გერმანულთან („სისტემა ულლილგებათა“ 1816).

თავის უმთავრეს შრომაში: — „შედარებ. გრამატიკა სანსკრ., ზენდურ, სომხურ, ბერძნულ, ლათინურ, ლიტვურ, ძველ-სლავიანურ, გოტურ და გერმანულ ენათა“ (ბერლ., 1833) მან, პირველად მეცნიერებაში, გამოსთქვა აზრი ქართ. ენის წარმომშობისათვის ინდოეთ-ევროპიულ ენებიდგან. ამ აზრს იგი ამყარებდა: ზმნებისა, ნაცვალ-სახელებისა, რიცხვითი სახელებისა და ფლექსიათა შედარებაზე.

ქართული ენის ფორმებს პირდაპირ ადარებდა სანსკრიტულისას, მაგრამ ფონეტიკური შედარებების არ ქონისაგამო, მისმა თეორიამ ქართული ენის ინდო-გერმანელობაზე საკმარისი ნიადაგი ვერ მოიპოვა.

1842—45 წლლ. ბერლინში წაკითხულ ლექციებში ფრ. ბოპპი, სხ. შორის, ადარებდა ლაზურს ანუ ქანურს და სანსკრიტულს, რომელთა შორის ჰპოებდა საერთო მხარეებს კანკლედობა და ნაცვ.-სახელებში.

საბოლოოდ თვისი მოსაზრებანი ქართულ-ქანურის ინდო-გერმანულ ენებთან ნათესაობაზე მან გამოაქვეყნა 1847 წ., ბერლინში გამოცემულ წიგნში: „კავკასიური ელემენტები ინდო-ევროპიულ ოჯახის ენებში“ („Die Kaukasischen Glieder des Indoeuropäischen Sprachstamms“).

ვასულ საუკუნის 40-იან წლებში ქართული ენის ცოდ-

ნის აუცილებლობა და მნიშვნელობა კავკასიის ენათა მკვლევარისათვის აღნიშნა ბარ. გეორგ როზენმა (გერმ. მეცნ. + 1891) *) მან პირველმა მიაქცია ყურადღება ქართული ჯგუფის არა—სალიტერატურო (უმწერლობა) ენებს: სვანურს, ჭანურს, მეგრულს და შემდეგ, მონათესავე აბხაზურს.

ქართული ჯგუფის ენებს მან უწოდა „ჰიბერიულ“ ანუ ივერიულ ენათა ოჯახის ენები და ამავე ენათა ოჯახში შეიტანა—ჩერქეზული ენა. ფრ. ბოპს მხარი დაუჭირა —„სომხურ-ქართული ფილოლოგიის პიონერმა“ **) ფრანგმა მეცნიერმა მარი ბროსემ (+ 1880).

მან პირველმა დაიწყო მეცნიერულად შესწავლა ქართ. ენისა, ლიტერატურისა და ისტორიისა ევროპაში. ***) 40-იან მოღებულ იქმნა პეტროგრ. უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტზე (1845).

1844 წელს, ბიკპისადმი მიმართულს, წერილში მან დაადასტურა ამ უკანასკნელის აზრი ქ. ენის ნათესაობაზე ინდო-ევროპის ენებთან, მხოლოდ კი **სომხურისა** და არა სანსკრიტის შემწეობით. მ. ბროსეს უმთავრესი დებულებები ასეთებია: 1. „უმეტესი ნაწილი ქართულ სიტყვებისა ეკუთვნიან ინდო—ევროპიულ ენებსა, უფრო კი უახლოვდებიან სანსკრიტულს, ძვ.—სპარსულს და ზენდურს, **უხშირეს ყოვლისა სომხური ენის საშუალებით** („le plus souvent par l'intermédiaire de l'arménien.“)

2) სახელნი არსებითნი, კანკლედობათა უმეტესობა და შედარებითი ხარისხის მაჩვენებელნი ქართ. ენაში უსათუოდ სანსკრიტული ან ზენდურია, წარმოშობით;

*) ავტორი წიგნებისა: „Ossetische Sprachlehre nebst einer Abhandlung über das Mingrelische, Suanische und Abchasische“, B., 1846 და „Über die Sprache der Lazen“. B., 1845.

**) ნ მაროი—„Др. груз. олописцы,“ 1902 С.П.Б.; იხ. აგრეთვე პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილის—„Обзоръ теорій и литературы о происхожд. груз. языка,“ ж. м. н. пр., № 8, 1908, გვ. 240—58.

***) ყურადსაღებია პიონ.—„L'art libéral ou grammaire géorgienne 1834, Paris, ლიტოგრ.“

3) ესევე ითქმის პატარა გამონაკლისით, ქართულ ნაცვალ —სახელებზე; 4) ქართ. უღლილება ანალოგიურია ძვ.-სპარსულთან, სანსკრიტულთან, ზენდურთან და 5) ქართულ სინტაქსისა და მრ. სიტყვების იგივეობას, ამ ენების სინტაქსისა და სიტყვებთან შედარებით, ადვილად გამოააშკარავებს დახელოვნებული ენათ-მკვლევარი"-ო.

ქართ. ენის ნათესაობა და კავშირი „თურანულ ოჯახის ენებთან პირველად აღნიშნა ინგლისელმა მეცნიერმა მაქსო მიულლერმა (1855—56 წ.წ. ლექც. ინგლ. ენაზე, ლექც.-ლონდონი. მ. მ. + 1900).

ქართულსა და ჩრდილოეთ კავკასიის ენებს იგი უწოდებდა ურალ-ალტაის ანუ თურანულ ოჯახის ენებს, მხოლოდ კი დროთა მსვლელობისა გამო, მრავალ მხარეებში მათგან განსხვავებულთ.*)

მ. მიულლერის თეორია ქართულისა და მონათესავე ენათა თურანელობაზე უარჰყო აღ. ცაგარელმა 1872 წ.; მან აღნიშნა რომ განსხვავება ბევრად მეტია ამ ენათა შორის, ვიდრე მსგავსება და საჭიროა აზრის გადახედვაო. მანვე აღნიშნა, სხ. შორის, რომ თურანულ ენებმა არ იციან თანხმევანთა შეჯგუფება, როგორც ქართულმა.**) ა. ცაგარელის საბოლოო აზრით, ქართულს არა აქვს გენეტიური (წარმოშობით) ნათესაობა ინდო-ევროპიულთან, მაგრამ არ შეიძლება შერიცხულ იქნეს არც ურალ-ალტაის ოჯახის ენებში და სხ.***)

მ. მიულლერი თურანულ ოჯახის ქართულ ენათა შტოს ჰყოფდა 4 ჯგუფად: I ქართლური ანუ. თვით ქართული (კახ., იმერ. და სხ.),

*) მ. მიულლერს მიემხრო ფრ. მეცნიერი — დემორგანი „Recherches anthropologiques sur les populations primitives du Caucase.—„ანთროპოლოგიური გამოკვლევანი კავკასიაში მცხოვრებ პირველ ყოფილ. უძველეს ერთა).“

**) მაგ. აიტყ. მრგვალი, ბრძმედი, გრგვინვა. მგრგვლივ (რუსთავ, I, 73 ხ.), ბრწყინვა, მკრთალი და სხ.; იხ. ж. м. н. пресв, 1872, № 9, გვ. 57.

***) „Обзоръ грамматич. литер. груз. яз.“ (С.П.Б., 1837 წ.—ეს აზრები დაედენენ საფუძვლად ა ც —ლის ამ სამაგისტრო დისერტაციას.

II) ენა ოდიშისა (მეგრული),

III) სვანური და IV) დასავლ. საქართ. მცხოვრებთა ანუ ქანური ენა.

ამ შტოებს ენათა სიტყვების ძირები და საგრამატიკო ფორმები აღიარა მან **საერთოდ** თურანულ ენების ძირებთან და საგრამ-ტიკო ფორმებთან.

ენის უნივერსიტეტის პროფ. ფრიდრ. მიულლერმა (მასწავლებ. აღ. ცაგარლისა) *) ქართულსა და ქართული ჯგუფის ენებს, როგორც უკვე შემთხვევა გვქონდა გვეთქვა, ადგილი ვერ ჰოუპოვა სხვა ენათა შორის და აღიარა ისინი ცალკე მდგარ, „განმარტოებულ ენებად.“ ფ. მიულლერის აზრით, ქართ. ენას არა აქვს ნათესაობა არც ერთ არსებულ ენათა ოჯახთან და, სხ. შორის, კი არც სემიტურთან. ***)

ქართული ენა—ენაა იმ ერისა, რომელიც უუძველეს დროებში მრავლად სცხოვრობდა კავკასიასა და მც. აზიაში სემიტთა, ინდო-ევროპელთა და თურანელთა მოსვლამდე ამ ადგილებში. ***)

დიდი განსხვავება სემიტ. და ინდო-ევროპიულ ენათა შორის კერძოდ აღნიშნა ვილჰელმ ჰუმბოლდტმა (+ 1835): 1) ძირები სემიტურ ენის სიტყვებში იწარმოებიან 3 თანხმოვანის საშუალებით. 2) მცნებათა საფუძველნი გამოიხატვიან თანხმოვანთა საშუალებით და სხ., რათაც ვერ ვამჩნევთ ინდ-ევროპ. ენებში და სხ. ****)

ამ საკითხში ფ. მიულლერის წინამორბედად, მაგრამ ნაკლებ მკაფიოდ და გაბედულად უნდა ჩაითვალოს აღმოსავლ.

*) Fr. Müller (+1898)

**) იხ. პროფ. ივ. ჯავახიშვილის ნახსენ. შრომა, აგრეთვე ნ. მაროი: „Кавк. и памятники духовн. культ.“ 1912 С П.Б.

***) დამტკიცება—გეოგრაფიულ ნომენკლ. ტურისა და ვანის წარყრათა სიტყვების თვისებათა შედარებაში.

****) იხ. И. Радловскій - „Система семитического языка Ренана и новѣйшія открытія въ клинописи,“ ж. м. н. пр., 1878, № 10, გვ. 220—57.

ენათა პროფ. პარიზის უნივერსიტეტისა ჰენრი კლაპროტია (+1835), რომელმაც აღნიშნა ქართ. ენის მსგავსება ერთს და იმივე დროს ინდო-გერმანული და ჩრდილო-აზიის ენებთან და ამასთანვე შეუძლებლობა, მისი რომელიმე ენათა ოჯახში შეტანისა და აუცილებლობა მისი გამოცალკევებისა და განმარტოებულ ენად აღიარებისა (განსხვავება ქართ. სიტყვების ძირებთა და გრამატიკ. ფორმათა სხ. ენებთან შედარებით და სხვ.)

ამავე აზრს, სხ. და სხ. დროს აღვნიშნავ: შლესინგერი, ბენტლეი, შპიგელი და სხ.

ზოგიერთ მეცნიერებმა განიზრახეს ქართ. ენის შედარება არ არსებულ ენებთან. მაგ., ასსირიოლოგმა ლენორმანმა სცადა მისი შედარება და დაახლოვება ურარტუს ენასთან (ვანის წარწ. ენა). მან აღიარა ურარტელთა ენის ქართულთან იგივეობა (1882 წ.).*)

ასსირიოლოგმა ფრიც ჰომმელმა 1884 წ. ჩვენი ენა შეაღარა, ე. წ. მიდიურ ენებსა (სუზურ—ელამურს) **)

ყველა ამ ენებს მოუყარა მან თავი ერთ ჯგუფში, რომელსაც „ალაროდული“ უწოდა.

შემდეგში ამავე საკითხს შეეხნენ, მაგრამ ვერაფერი ახალი შეიტანეს: ჰუგო შუპარდტი (გერმ. მეცნ., ავტორი—„Il per gas Georgische“, ვენა, მცოდნა ქართული ენისა), ჰიუსინგი (1901 წ.), ტრომექტი (იტალ. მეცნ., 1902 -- 3 წ. წ.) და სხვ. ***)

ვსთვლი ვალდებულებად, დასახულს აღნიშნო მოკლედ აზრი ნ. მარსისა, რომელსა მ. წ-ლი უკვე ნახსენებ სტატია-

*) „Lettres assiriologiques...“

**) სუზური—ენა ახემენიდების (ბელისტანში) წარწერთა, ელამური—უძველეს სპ. ენა.

***) იხ. პროფ. ივ. ჯავახიშვილის ნახს. შრ. გვ. 263, აგრეთვე მისივე „ქართველი ერის ისტორია“, წ. 1, 1913, გვ. 14—16, ან არტ. ლექსტი — „ორიოდე სიტყვა პროფ. შუპარდტის წიგ. გამო“, ივერ. 1895, № 202; მ. ჯ. ბიბლიოგრ. „ივერ“, 1897 №82; ილ. № 262.

ში უწოდებს: „ქართული ფილოლოგიის გმირს თვალ—უწვდენელ მეცნიერულ კვლევის ველზედ“ (ნ. მარსის შესახ. იხ. „პროფ. ნ. მარრი“, „განათლ“, № 1909); „ნ მარრი“, მეგობრისა „გან“, 1913, № 8.

პირველად თვისი აზრი ქართული ენის ახლო ნათესაობაზე **სემიტურ** ოჯახის ენებთან მან გამოაქვეყნა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს 1888 წ. („ივერია“ № 86) სტატ.: „ბუნება და თვისება ქართული ენისა“, რომელმაც შემდეგში მიიღო საისტორიო სტატიის ხასიათი და მნიშვნელობა.

შემდეგში ეს აზრები გაატარა მან პეტერბურგის უნივ. წაკითხულ ლექციებში (1898 წლიდან) სემიტურ ძირთა ქართულთან შედარება—დაპირდაპირების საშუალებით.

არაბ. აჰლუ—ჰებრ. ოხელ (ოჯახი, კარავი) არკვევს წარმოშობას ქართ. „სახლი“—სას არაბ. ნაფარა || ნაქარა (გამტვერიანა) არკვევს წარმოშობას ქართ. „გასვარა“—სას და სხ.*)

მოკლედ ნ. მარრის აზრი ასეთია: ქართული და მონათესავე ენები (მევრ.—ქან.—სვან.—აბხაზ.—(სომხური!)) არ არიან წმ. სემიტურნი. განსაკუთრებითა ქართული, მხოლოდ ახლო მონათესავეა სემიტურ ოჯახის ენებისა. ქართ.—სუხური—ვანის ლურსმულ წარწერათა ენა—ქვ.—სომხური (ჰაიკური) უუძველეს, ჩვენგან ფრიად დაშორებულ ხანებში, შეადგენდნენ ენათა ერთ საერთო ოჯახსა.**)

1903 წ. („Грамм. др.—арм. яз.“ I, СПб.) კი იგი სწერდა: „ფაქტებმა იძულებულ მყვეს, კარგი ხანია, მედიარებიანა ქ. ენის ნათესაობა სემიტურ ენებთან, თუმცა ქართუ-

*) იხ. „Основные таблицы къ грамм. др.—груз. яз.... СПб., 1908.

**) შემდეგში, იაფეტურ ენათა შტოდ აღიარებული. სუმერულ ენის იაფეტობას ჯერ კიდევ პრობლემატიურადა სთვლის მარრი (იხ. მ. წერეთ. ნახსენ. სტატ. 1912 წ., ან მისივე: „Sumerian and Georgian“ 1913, Lond. აგრეთვე პროფ. ივ. ჯავახიშვილი—„ქართველი ერის ისტ.“, I, 1903, გვ. 19 და შემდეგი, „ივერია“ 1888, № 232: „მეცნიერთა აზრი ქ. ენის შესახებ“, ესომ.—ისა.

ლი არა სდგას ისე ახლო სემიტურ ენებთან, როგორც ეს ენები ერთი-მეორესთან“ — ო,

„მეორეს მხრით, — განაგრძობდა მეცნიერი — ჩემთვის შეიქნა აშკარად, რომ ზოგიერთ არსებითი მხარეებით თვისი ბუნებისა ქართული ენა ფდ. უახლოვდება სომხურს“ — ო.

საბოლოოდ თვისი აზრი ქართ. ენის შესახებ მან დაასაბუთა და გამოაქვეყნა 1908 წ., როდესაც გამოსცა თვისი — „Основные таблицы къ грамматикѣ др.-груз. яз., съ предварительнымъ сообщеніемъ о родствѣ груз. яз. съ семитическими („С. П. В.“) *).

იმ ლინგვისტურ შტოს, რომელშიც იგი ათავსებს, გარდა ქართულისა: მეგრ. — ქან. სვან. — აბხაზურ — ჰაიკურს (ძვ. სომხ. — მარრი უწოდებს (პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში) — იაფეტურ ენათა შტოს, ნოეს ენა თა ოჯახიდან წარმომდგარს. **)

საბუთი ასეთის ტერმინოლოგიისა არის — „დაბად.“ [მე-X-თ., მ. 2) ***)

ამავე ნოეს ოჯახის იაფეტ. შტოს ენებში შეაქვს მარს

*) იხ.: — „წინასწარი ცნობა ქ. ენის სემიტურ ენებთან ნათესაობაზე“, თარგ. დ. კ — სა „განათლ.“, 1909, № 1.

***) Яфетическ. ветвь ноэтической семьи языковъ. ზეპირად ტერმ. — „იაფეტური შტო“ ნ. მარშმა იხმარა 1899 წ.: „Речь передъ защитой магистерской диссертации: Сборники притчъ Вардана“, Ж. М. Н. Пр., № 7, 1899

***) იხ. აგრეთვე М. Хоренскій — „Истор. Арменіи“, 1893, М., изд. и перев. проф. Эмина: „Иафетъ родилъ Гомера. Гом.-Θироса, Θиросъ — Θоргома, Θоргомъ — Хайка, — Х. — Арменака, Арменакъ — Армайса და სხ.

თორგომი — საერთო მამამთავარია ქარ. — სომხ., რადგანაც მისგან წარმოსდგნენ, სხ. შორის: ქართლოსი, ხაიკი და სხ., იხ. ივ. ჯავახიშვილის — „ისტორიის მიზანი... 1916, გვ. 114—121 (ლ. მროველი).

უკვე მკვდარი ენები: ურარტუს ენა, ელამის ენა, *) ახემენიდების მე-II დაფის წარწერათა ენა და სხ.

სუხურის (მკვდ. ენის) ჭანურთან ახლო ნათესაობა ნ. მარტომა აღნიშნა 1910 წელსა: „Грамм. чанскаго языка..“ (С.П.Б., გვ. XI).

ნ. მარტის უმთავრეს შრომის—„Основныя таблицы..-ს და შემდეგ გამოცემულ სხ. ნაწერთა დებულებები ასეთია:

1. ფონეტიკა ქართ. ენისა ენათესავება სემიტურ ენათა ფონეტიკას;

2. ქართ. ენა, როგორც სემიტური ენები, ხმარობენ მორფოლოგიაში წინსართ—ბოლოსართებს;

3. ქართ. ენა, როგორც სემიტური ენები, ძირებს აწარმოებენ მხოლოდ თანხმოვან ბგერათა საშუალებით, რიცხვით — 3 ბგ.. ჩვეულებრ.;

4. ქართ. ენის 1000-მდე სიტყვები მოწმობენ ქართულის სემიტურ ენებთან ნათესაობას. ეს სიტყვები თავის ფესვებით გადადიან ხან არაბულში, ხან ურულში და სხ.

მსგავსებასთან ერთად ქართულსა და სემიტურ ენათა შორის განსხვავებაც დიდია და ამიტომაც კიდევ არ შეიძლება ვუწოდოთ ქართულს სემიტურებთან მოძმე ენის სახელი, არამედ მხოლოდ მონათესავე ენისა**)

ლინგვისტიკის მიზანია, მარტის აზრით, გამოძებნა ორი მამამთავარ ენათა: იაფეტურისა (ქართ. — ჭან. — მეგრ. — სვან. — აზხაზ. — (სომხური!) — სათვის) და სემიტურისა (არაბ. — ურ. — ეთიოპ. — კობტურისათვის).

მარტის თეორიის გაგებას ფრიად აადვილებს „წარმოშობითი ნუსხი იაფეტ. შტ. ენათა“ (იხ. მისი — „Грамм. чанскаго (лазск.) языка... 1910, СПб., XXIII).

*) ანუ ელამური: „Принадлежность эламскаго языка къ яфетическимъ нынѣ внѣ внѣ всякаго спора“ — ამბობს მარტი („Кавказовѣдѣніе и абхазскій языкъ“, 1916, С.П.Б., გვ. 14).

***) სემიტური ენები კი ერთიმანეთის მონათესავენი არ არიან, არამედ მეტი — მკვიდრი ძმები.

ნ. მარრის დაბეჯითებითი მიმდევარი იაფეტურ თეორიაში. სხ. შორის, იყო განსვენებული პროფ. ტფილ. სახელმწიფო უნივერსიტეტის იოს. ყიფშიძე († 1919). *)

მნიშვნელობა მარრის იაფეტურ მიმართულებისა, სხ. შორ., არის იმაში, რომ მან წინ წასწია საქმე ქართულ ფილოლოგიის შესწავლა—გამოწვლილვასა. ამ შკოლამ გააღრმავა ქართულისა და მონათესავე უმწერლობო ენების წარსულის შესწავლა, გაათავსოვა კვლევა და რომ 1914 წელს ატეხილ მსოფლიო ცეცხლს ხელი არ შეეშალა მრავალ ახალ, ჯერ გამოუცემელ, მასალას შესძენდა იაფეტიდოლოგიას.

1910 წ. მარრას ინიციატივით არსდება და რუს. მეცნ. აკადემიის მიერ გამოიცემა -- „მასალები იაფეტურ ენათმეცნიერებისა“ (Материалы по яфетическому языко-знанию **) .

მარრის შკოლა ხელს უწყობდა ქართულისა და მასთან მონათესავე ენების შესწავლას, მათი წარსულის გამორკვევას, მაგრამ რუსეთის უბედურებამ შეუძლებელი ჰყო ნუშაობის წარმოება არსებულ პირობებში და კიდევაც შეჩერდა იგი (რუსეთში).

უუდიდეს როლს არსებულ პირობებში, იაფეტურ შტოს ენათა შესწავლაში, ასრულებს სიბრძნის—მეტყველების ფაკულტეტი ტფილ. სახელმწიფო უნივერსიტეტისა პროფ. ი. ა. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით.

*) იხ. „საქ.“ 1920 წ. 21 და 24 თებ. №№, ან „გან“, № 3, ა წ.

**) უკვე გამოვიდა და დღეს გასასყიდადაც არ მოიპოვება შემდეგი შრომები:

1) ი. ჰყონია — „სიტყვ. კონა“... 1910;

2) ნ. მარრი — „Грамм. Чанскаго языка ..1910;

3) ი. ყიფშიძე — „Дополнительныя свѣдѣнія о чанскомъ яз. 1911,

4) ჰ. ჰარაია — „Объ отнош. абх. яз. къ яф-мъ“, 1912,

5) ნ. მარრი — „О положеніи абхаз. среди яф хъ“, 1912,

6) ვუკ. ბერიძე — „სიტყვ.-კონა იმ. და რაჭ. თქმათა.“, 1912,

7) ი. ყიფშიძე — „Граммат. мингр. (иверскаго) яз “. 1914 და დამზადდა გამოსაცემად მრ. სხ. მასალა.

უმთავრესი მიზანი არის გამოცემა ამ ენათა მასალებისა, მიწვდენა ენათ —მეცნიერებისათვის სხ. და სხ. ცნობათა, უმთავრესად ჩვენი მხარის უმწერლობო ენების შესწავლისათვის, შესწავლა ფოლკლორისა და საქართველოს, ეთნოგრაფიისა, რაც მოახლოვებს ქართული ენისა და მწერლობის შესწავლის ბრწყინვალე მომავალსა.

ამასვე, უმთავრესად, ემსახურება ჩვენი მასალები (ერთ-ერთ უმწერლობო იაფეტურ ენისა), რომელიც გამოდის ტფ. უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის დახმარების შემწეობით. ამასვე ემსახურება ჩვენ მიერ განზრახული აბხაზური ენის და სხ. მასალები.

ა. მეცნიერთა ყურადღება მეგრული ენისადმი.

მეგრულ ენას, ქართულთან მონათესავე ენათა შორის, ეწვია რაღაც განსაკუთრებული ბედი. ისეთი ბედი, როგორც ჰქონდა კავკასიის ენათა შორის—არა-იაფეტურ ენას—ოსურს, რომლის კვლევა-ძიება უმაღლეს წერტილამდე მიიყვანა მისი შესწავლის მამამთავარმა, პროფ. ვსევოლოდ მილლერმა (1846. +1913) (იხ. მისი: „Ossetica“, „Осетинские этюды“, III ტ., 1881- 87 Моск. და მრ. სხ. ნაწერები რუს. ეურნალებში და სამეცნიერო გამოცემებში). ოსური ენა იზიდავდა თავისკენ მეცნიერთა ყურადღებას— როგორც უძველესი ენა ირანულ ჯგუფის ენათა შორის და მეგრულის ასე გაფაციცებით შესწავლის მიზნებიც ეს უნდა ყოფილიყო, მისი არხაიზში.

1670 წ. მოყოლებული (ველია ჩელები)*) 1914 წლამდე (ი. ყიფშიძე) მეგრული ენის თვისებების გამოწვლილვას ხელს უწყობდნენ: პალლასი, გიულდენშტედტი, კლაპროტი, როზენი, ბროსე, მურრიე, ცაგარელი და ყიფშიძე. მეგრული იზიდავდა თავისკენ ორ უკანასკნელ მეცნიერთა ყურადღებას თავისის ორიგინალობით, ძველ ფორმათა სიუხვით, ამასთანავე, ქართულთან სიმსგავსესთან, იგი იჩენდა ზოგიერთ შემთხვევებში პირდაპირ უმსგავსოებას.

*) იხ. ყ—ძე, Грамм. I, გვ. XXIII და შემდეგი.

(შეად. მეგრ.: ონჯლორე—ქართ. სირცხვილი,	
— „ სერი — „ ღამე,	
--- „ ორდო --- „ დილა,	
— „ მოთა — „ შვ. შვილი,	
--- „ ნოსა --- „ რძალი,	
--- „ მახინჯი --- „ ქურდი,	
— „ ოსური --- „ ქალი,	
--- „ ხვამა --- „ ლოცვა,	
--- „ ოქიში --- „ წელი,	
--- „ მოკყულუ --- „ დედოფალი და სხ.)	

მეგრ. იპოვნიდნენ ისეთ სიტყვებს, რომელსაც ეკვივალენტი ქართულში არ მოეპოვებოდა. მაგ.: ცირა, ტყაში-მაფა, ოჩო-კოჩი; აოცებდათ სიუხვე ზმნათა, პირდაპირ გამოუღვევლობა, უფრო ხშირად მოქმედების აღმნიშვნელ ცნებათა.

თუ მეგრული ენ.ას ბედი ეწვია სხ. იაფეტურ ენებს, ჯერ ნაკლებად შესწავლილთ: სვანურს და აბხაზურს, მაშინ შესაძლებელი იქნება შედგენა იმისა, რასაც ეწოდება „შედარებითი გრამატიკა“ (იაფეტურ შტოს ენათა:

ქართ. — მეგრ. — ქანური — სვანური — აბხაზური — (სომხურისა!)*)

გამოვსთქვამთ სურვილსა, რომ საქართ. უნივერსიტეტის სიბრძნით-მეტყველების ფაკულტეტის საენათ-მეცნიერო განყოფილების პროფესორთა და მათ მსმენელ—სტუდენტობას შეემატებოდა თავისი ნაღვაწი მეცნიერების ამ დარგისათვის.

იმ საკითხს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ თქმის (ფრ. ტერმინოლოგ. Patois-ს)**) ეხება და ფრიად საგულისხმიერო აზრებს გამოვსთქვამს ფრ. მეცნიერი, პროფ. Collège de France-ისა M. Bréal-ი ცნობილ შრომაში—

*) ამ უკანასკნელისთვის მასალები მოიპოვება ევროპულ-მეცნიერთა ნაშრომებშიც: Peterman, Hubschmann, Meillet და სხ.). გარდა ამისა მოიპოვება შრომა ნ. მარტისა— „Грамм. др.—арм. языка“ С. П. В. 1903, т. I. სომხური ენა ინდო-ევროპიესტებს აინტერესებს, როგორც ერთ-ერთი ენა ამ ოჯახისა, ხოლო იაფეტისტს—როგორც ნახევრად-იაფეტური, პირველყოფილი ენა (ჰაიკური).

**) შეად. მეგრ. და ჯვარული, ფრანგული და პროვანსალური. (Province—პროვინცია; ერთ-ერთი ნაწ. საფრანგეთისა).

„Quelques mots sur l'instruction publique en France“,
P., 1872.

Bréal-ის აზრი მოკლედ ასეთია: „Patois არამც თუ არ ავნებს ფრ. ენის შესწავლასა, პირიქით, იგი მშვენიერი მომხმარე მასალაა ენის წარსულის გამოკვლევის საკითხში; *) იქ, სადაც არსებობს Patois შესაძლებელია შედარება — ეს აუცილებელი პირობა ენათა შესწავლისა“...

„არა ერთი მასწავლებელი, მომხრე ჩვენის იდეისა ხელს მიჰყოფს თავის სოფლის თქმის დაკვირვებასა და შესწავლას. ეს კი გაუფართოვებს თვალსაზრისს და დაინტერესებს მთელი სამშობლოს წარსული... ასეთი მასწავლებელი კი აღიჭურვება სოფელთა ნდობით და ღრმა პატივისცემით, რომელსაც მიჰმართავენ ყოველსავე სადაო საკითხთა და საქმეჲა გადასაწყვეტად, როგორც ნამდვილი განათლების მოამაგეს, და „შემნახველს“ **) ხალხის გადმოცემა — ჩვეულებათა და მეცნიერს თემისას ***)“-ი, დასკვნის Bréal-ი. ****)

მეგრული ენის წარსულის გამორკვევას ემსახურება ჩვენი მასალებიც, ეს დანიშნულებზე ექნება ამ წიგნის მეორე ნაწილს (ზუგდიდ.-სამურზაყანოს მასალები). *****)

ბევრა, სულ ბევრი რამ გვინდოდა კიდევ დაგვეთო მასალებისათვის, მაგრამ გარემოება ხელს არ გვიწყობდა და პირ-

*) შეად. ეპიგრაფი ამ წიგნისა (ნ. ი. მარრი).

**) Dépositaire.

***) Canton (თემი || ოლქი).

****) მის შესახ. იხ. — „Hist. élémentaire de la littérature française“ p. Jean Fleury, P., 1909, p. 507 ან „Larousse“, P. 1910, p. 1188.

*****) ჯვარისა და მისი რაიონების გამოკვლევა, საჭიროა ჩვენი აზრით, სპეციალურად (გავლენა სვანურისა, სიმრავლე აზხაკურ ფორმათა და სხ.), რაც აზრად გვაქვს, თუ გარემოებამ ხელი შეგვიწყობ, და რაც შედეგში შეადგენს ჩვენი წიგნის მე-III და უკანასკნელ ნაწილსა.

დაპირ არა სასურველ პირობებმა იძულებული გვყვეს მუშაობა საინტერესო ადგილას შეგვეწყვიტა და შეგროვილი მასალის გამოცემა დაგვეჩქარებია.

იმედია, მკითხველი თუ კრიტიკოსი, მეტის ცოდნით, ვიდრე ამის შემდგენი, აღჭურვილი და უკეთეს პირობებში მყოფი, ვიდრე მე—მოწყვეტილი საკუთარ სამეცნიერო წიგნთსაცავსა და სხ. და სხ. მასალათ,—ანგარიშს გაუწევს ჩვენს ნათქვამს ამ „პირობათა“ შესახებ და თავ-შეუთავებლად არ გაგვეკიცხავს. უკეთესს პირობებში ბევრად უკეთეს შრომასაც მიუძღვნდით საკითხსა. უადგილოდ არ მიმაჩნია ამასთანავე ვსთხოვო მათ: გაიხსენონ და ანგარიში გაუწიონ ერთი ქართველი ისტორიკოსის სიტყვებსა:

„მე ერთი შრომაც არ ვიცი ყოვლისფრით სრული და არც შეიძლება იყოს ყოვლად უნაკლულო!..“

6. ჩვენი მასალის ხასიათი.

ტექსტების შინაარსი მრავალ-ფეროვანია: „საყოროფო“, „სადღეისო“, პოემები, დიდაქტიური ხასიათის ზღაპრები და სხ.

შეგროვილი მასალა იბეჭდება პირველად, მხოლოდ ზოგიერთი, ფრიალ მცირე $\frac{1}{10}$, წარმოადგენს ცაგარელი—ყიფშიძის მიერ მოთავსებულ ტექსტების ვარიანტსა. თანამშრომელთა ჩანაწერთ წინ უძღვის პირადად ჩვენ მიერ ჩანაწერი ტექსტი. მათს მართლწერაში ჩვენ არაფერი შეგვიტანია, გარდა ზოგიერთ, აშკარად უაზრო ადგილებისა. სხვათა ჩანაწერთ ექნება ერთგვარი მნიშვნელობა სიტყვიერების ისტორიისა და ლექსიკოგრაფიისათვის. ჩვენ მათი შინაარსი უფრო გვიანტერესებდა. ზოგი მათგანი შეიძლება ტლანქი იყოს, „უპოეზიო“, მაგრამ ჩვენ ასეთებსაც ვათავსებთ, რადგანაც ასეთ ნაწერებში მრავალი მაგალითების პოვნა შეუძლია ენის მკვლევარსა (ფონეტიკ.-მორფოლ.-სინტაქს დარგში.)

ჩვენ მოკლედ შევეხეთ ზოგიერთ მხარეებს მეგრ. ენისას, ჩვენი მასალის მიხედვით, ხოლო წმინდა—საგრამატიკო მათი გამოწვლილვა უნდა იკისრონ იმათ, ვინც—უფრო დახელოვ-

ნებულნიცა და დაინტერესებულნიც არიან ფილოლოგიის ან დარგში.

ჩვენის აზრით, ყოველივე კვლევა-ძიებას ენათ—მეცნიერებაში წინ უნდა უძღოდეს დამუშავება და გამოცემა, ამა თუ იმ ენის მასალისა,*) რომელზედაც დაეყრდნობა მკვლევარი და ამოჰკრებს საკითხისათვის საჭირო და აზრთა დასამტკიცებლად შესაფერ მაგალითებსა.

7. უმთავრესი დებულებები.

01) მეგრული ენა—საქართველოს „უკრაინული“ ენაა, რომლის შესწავლის საჭიროება (სვანური—ქანურთან, უსამართლოდ დაიწყებ. აბხაზ.) აღინიშნა არა ერთხელ ქართულს ჟურნალისტიკაშიაც. **)

02) საჭიროა არამც თუ ქართულთან მონათესავე ენათა შესწავლა, არამედ შესწავლა და ისტორიულ მასალათა შეკრება საქართველოს სხ. და სხ. კუთხისა, მათი ისტორიის შედგენა, რაც ცხად-ჰყოფს და გამოაშუქარავებს მათ ძველთა-ძველ ფიზიონომიას და მასთანვე გამოირკვევა წარსული მთელი საქართველოცა, ე. ი. საჭიროა ანალიზით სინტეზისაკენ მისწრაფება.

03) მეგრ. ენის მეცნიერულად შესწავლა, ანუ უფრო სწორედ განზრახვა შესწავლისა დაიწყო ჯერ კიდევ მე-17 საუკ. 70-80-იან წლებში (ველია-ჩელები, იხ. ყ.—ძე, გრამ. გვ. XXIII), გაგრძელებულ იქმნა მე-18—19 ს., უმთავრესად უცხოელ მკვლევართა მიერ, მაგრამ მის შესწავლაში უმთავრესი და ფრიად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს: ა. ცაგარელმა და ი. ყიფშიძემ, რომელთაც სამართლიანად უნდა ეწოდოთ „კირილე და მეფოდნი“ ამ ენისა.

*) განსაკუთრებით უმწერლობო ენათა.

**) იხ. „ივერია“ 1902, № 121, 3. მირიანაშვილი: „დიდად საჭირო საქმე“; № 139, დუტუ—მეგრელი: „დიდად საჭირო საქმისა გამო“ („ხვა შორიდგან“) და სხ. მ. ენის ბიბლიოგრაფია: იხ. ქვევით.

01) უმთავრესი მიზეზი მეგრ. ენისადმი განსაკუთრებულის ყურადღებისა იყო მისი არხაიზმი, სიძველე, ისევე როგორც ოსური ენის შესწავლისა.

05) მეგრ. ენის ბგერა — „ც“ — უძველესია ქ. „ც“-ზე და მოწმობს მის პირველყოფილობას (ჯერ იყო „ცოროფა“ მერე „სიყვარული“, ჯერ „სუჯი“, მერე „ყური“; სიძველეს მოწმობენ მ. გვარები — „ც“-ზე: სუფუნია, სურუა და სხ.); „ც“ — შედეგია ხმის ნაპრაღის დახშვისა.

06) უმთავრესი თვისება მ. ენისა არის ქართულთან შედარებით მიდრეკილება ბგერათა ადგილის შეცვლისადმი (შეად. მ. ოზე—ქ. ეზო-ს და სხ.) და სიმრავლე, აუარებლობა ზმნათა.

07) მ. ენის ბგერა „რ“ $\frac{1}{2}$ ხმოვანია (სვან., აბხაზ., სომხ. და ქ. ენის ინგილ.-თუშ. თქმებში ვხვდებით მასვე) და მის როლს შეადგენს წარმოება მარცვლისა: შეად. ბრღუნქ > ბრღუნქ (ვზრდი).

08) მეგრ. ენის დამახასიათებელი თვისება — სრულხმოვნება, პირველად აღნიშნული ა. ცაგარლის მიერ (1880), მეგრული ენის ყველა თქმებზე უფრო გავრცელებულია აბაშა-ბანძა-მარტვილის თქმაში, სადაც „>“ უ მიუხედავად ქართ. ენის სიახლოვისა ამ რაიონთან და წინააღმდეგ მოლოდინისა.

09) ეთნოგრაფია სამეგრელოჯსა ღირსია განსაკუთრებულის ყურადღებისა რადგანაც მრავალი ზნე-ადათი დღემდე დარჩენილი მოწმობს მის კერპთ-თაყვანისმცემლობას, მიდრეკილობას წარმართობა-ცრუმორწმუნეობისადმი (იხ. „ღრ.“, 1870, № 20: „ერთი წარმართული დღესასწაული სამ-ში“ დ. ბსა, დაწვრილებით ამისთვის ამ გამოცემის მე-II-წიგნში).

010) ქართული ენის მეცნიერულად შესწავლა დაიწყო უცხოეთში (საფრანგ.), დროდ დაწყებისა უნდა ჩაითვალოს 1834 წ., ხოლო მამამთავრად მ. ბროსსე (ავტ. წიგნისა — „L'art liber. ou gr. géorg.“)*.)

*) სომხ. ენისა მ წლით უფრო გვიან (1837 წ.) ბერლ. უნივ. პროფ. პეტერმანის „სომ. ენ. გრ.“ გამოც. შემდეგ.

011) მეგრული ენის მეცნიერულად შესწავლა გააღრმავა ა. ცაგარელმა, გაათავოვა ი. ყიფშიძემ.

(საჭიროა და დროა საქ. უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს ქართულთან მონათესავე, სხვა უმწერლობო ენების შესწავლას, რითაც მოახლოვებს საზოგადოდ ქართ. ენისა, მწერლობის და საქართველოს წარსულის შესწავლის ბრწყინვალე მომავალს).

012) მეგრ. ენის ჯვარის თქმის შესწავლა საჭიროა განცალკევებულად, როგორც მყოფის განსაკუთრებულს გეოგრაფიულ პირობებში (სიახლოვე სვანეთისა) და მრავალ არხაიკულ ფორმათა შემნახველის, რაშიც გვარწმუნებს უკვე გამოცემ. ჯვარის მასალა (ცაგარ.-ყიფშ.) და საკუთარი მასალა და დაკვირვება ჯვარელების თქმისა ს. ს. რუხი—ჭუბურხინჯში ყოფნის დროს.



8. მეგრ. ენის ბიბლიოგრაფია (არ ნაჩვენები შენიშვნებში) ქართ. ენაზე:

1) კ. ალაზნისპირელი—„მეგრ. ენის გამო“, ივერია, 1904, № 88.

2) გ. დგებუაძე—„მეგრ. ენის სახელმძღვანელო“, კრიტ., ცნ. ფურც., 1902, № 1980.

3) ვ. მასხულია—„მეგრ. კილოზე წერა-კითხვის შემოღების შესახებ“, „ივ.“, 1891, № 26.

4) მინგრელსკის აზრი მეგრ. ენაზე, ივ., 1904, № 241.

5) ტ. კ - ლი—„მეგრ. და ქართული“, „ივ.“ 1904, № 165.

6) ს.-სიმონი—„მეგრ. ენის შესახებ“, „ივ.“ 1904, № 278.

7) ის. შიოსძე—„ქ. ენა სამეგრელოში“, „ივ.“, 1902, № 111.

8) ალ. ხახ—ლი—„მეგრ. ენა ქართ. მწერლობაში“, „ივ.“, 1897 № 227.

9) №—„მეგრ. და ქართული“, „ივ.“ 1904, № 48.

10) შუბნელი—„აზორდიზმი და ქართ. ენა“, „ივ.“, 1904, № 15.

11) ულოდიკოვ—„ორიოდე სიტყვა“, „ცისკარი“, 1863 № 9 და სხ.

ბიბლიოგრ. საკითხისა ქ. ენაზე:

1) აკ. წერ. — „როგორ უნდა შევკრიბოთ ზეპირგადმოცემები?“, „კვ.“ 1895, № 14.


2) ა. ნა — ლი — მეთაური (ხალხურ ნაწარმოებთა შეკრებაზე — „ივ.“ 1889, № 134.

3) თ. სახოკია — „ხალხურ ნაწარმოების მოყვარ. მიმართ“, „ივ.“ 1891, № 22.

4) პ. ჯმიკაშვილი — „სახ. ლექსების შეკრება“, „დრ.“ 1872, № 23.

5) სასოებაძე — „ქართველი ხალხის სიბრძნის ნიმუშები“, „მომხვ.“, № 1, 4, 1905.

შ. ბერიძე — „მეგრული (ივერული) ენა“.



მ ა ს ა ლ ე ბ ი

(სენაკის მახრახპი 1919 წ. შეკრებილი ჩემ-ძიეწ).



მ ა ს ა ლ ე ბ ი

(სენაკის მახრახი 1919 წ. შეკრებილი ჩემ-ძიურ).



I. მ ე ძ ს ე ზ ი.

* *

1. ჰე, ბოშეფი! ულა, ულა
ოლაშქრეშა ჩქინი ულა.
ბათუმი მიდამიდეს, და—
თეჟი უჯგუ ჩქინი ლურა.

არქა, ბოშეფი, ულა, ულა 5
ვამ'ლალატათ ვადოლურა.
მტერს მევოგათ გურს ხიშტი
მივაძახათ—, ურა, ურა (*).

2. საჩონგურო ლექსი.

მშვიდობით აწი ურქ,
მათი მომიწყინდ გურქ, 10
ჩქიმი უჯგუში დოგიგორ—
მა მუს გესაჰირებუქ.

ასე შხვას ნოგორუექ
მა გოგიჯოგუაფუქ,
შურო ღორონთი ქორწინანდა 15
თე ცალი საქმეს ნუორთთ.

მა ოდესაც **) შური მიდგენი
თქვან' ყოროფას ვეგინურქ.

*) ლექსი ეკუთვნის იოს. ვ. ანჯაფარიძეს (82 წლ.) მე გადმომცა თვით ავტორმა ს. აბედათში ყოფნის დროს. ლექსი დაწერილია 1918 წლ. მარტში: თურქთა ჯარის მიერ ბათუმის დაკავებისა გამო, პატრიოტულის გრძნობებით ექსტაზში მოსულ მოხუცის მიერ. იოს. ანჯაფარიძე—ავტორია მრავალ ქართ. ლექსთა, პემისა და დიახთა ცხოვრებიდან და მოთხრობათა (ჯერ დაუბეჭდავთა). ი. ანჯაფარიძემ პოიგონა პროფ. ალ. ცაგარელის მოგზაურობა სამეგრელოში 77-78 წ.წ., რომელსაც ის დახმარებას უწევდა, თურმე, მასალათა შეკრებაში.

***)=სოფშახ,

ეგებ დებტანჯებუქ მარა
თქვანი სახელიშა მებდინქ.

პატონფი! მირჩქილით!
ლექსის ფთქუანქ მა მართალს.
5 იმენდი რე გამიგონენტ
ქიგემიდვანთ სამართალს.

ირიკოჩი შხვას წუხენს, დო
მა მაწუხენს ართი მუხდენი;
ფერი დაჩხიოი გურს დილაბრზ,
10 აწი ვამორგ ვაფთქუენი.

მარა ფთქუენი მუს მოხვარ?
სი ყუს ვეგლოუფართხუენი
მა გურქვილო გიჯინედო
სი თეში გილაკვანწუენი

15 გურს მუთუნქ ვეგენ, მაქკირ
ართის ქიგივანწყუენი.
ნება რახუე ვამიჩქ, ნდო
ვარი ძალი გაპწუე.

ათე ნერო ქვილი ვორექ
20 თქვანი ყუს არჩქილენო,
ლორონთიშე გოჯოგელქ,
რთხულენქ სი ვაგაპწირენი.

მასქილადო დუს ვავატყუქ,
მა ვამილუ მეტი ხანი.
25 ოდეს შური მიდგ, დასენი—
კაბლოლუა მა სი განი.

დობლურა და ათეს რთხულე
ქომორთე დო დომინგარე

სქან' ჩილამური ქეგემობე.

ჩქიმი მიზეზით ღურელი რეკ
თე უდროოთ სი, საწყალი.
ოდეს შური გიღვდნი
მართალი რე ბრელი გაწვალი. 5

ვაჟ თქვანი შინაარსი
დარწმუნებულო ვანოფჩქვენო?
დობღურუნო სქანი დუდი
ჩქიმი ყოროფა ვანორღვენო?

ტყურას ნობლორებუეკო 10
ირო მიფერუანდინი,
დობღურუნო სქანი დუდი
დუსე, გოგილუანდინი.

კოჩიშა ონდევბელი ვარე 15
სოდე სი თეს ნათქუეკენი
მა ნობლალატებუეკენი
შხვაში გურს ნორდუეკენი.

მახარია, ჩქიმი ვარდი,
მოგირთუმუნი ვადორხვადი. 20
დოგილინუ ჩქიმი დუდქუ
მა სი მუშენი ვადორხვადი.

დიხაშე ეულირი რენდო
ჯასე, მუკოჩანსე, სურო
ჩქიმ, ყოროფილს უბედურს
ჩქიმი დუდი ვაუყორს შურო. 25

ოხვამეშა მინიბლინი
გიბჯინინი ხატი ვარე.

ცოროფილიში მოშორება
ცოდაში მეტი მარდი ვარე.

ქალები ყველა კეთილნი ვართ,
კაცები ხართ უკეთურნი.
ვისაც ნახავთ— შეიყვარებთ, 5
ბოლოსა ხართ უბედურნი. *) .

3. ცოროფაში ლექსი.

ართი ცოროფილი მათ ქოპუნსუ
თოლ'შა ვამითხინუანსკი;
მოჯგირეს, მიწუხენსუ,
ტერს მიძიციხუანსუ. 10

ახალ' ცუდეს მიკეთენა—
თუდო მომიპოლუდანი.
მუქომ' გური გაღვენუნა—
ჩქიმ' სამარეს თხორუნდანი.

ჰე, ბართი! ქოფურინი, 15
წინა გილუ მათქუალი, ***)
ეთექინე მეურქუნი
დორხვად ჩქიმი მაქყალი.

*) ს. ნაქალაქევში („აბანოეფი“) ჩემ მიერ ჩაწერილი თებრო ოდიშარისას (18 წლ.) გადმოცემით (ს. ნოსირიდან, სენაკ. მაზრისა.) თვით მთქმელმა ამ ლექსს უწოდა— „სამწუხარო“ და მართლაც გიტარის აკომანიმენტის და მომღერალ ქალის ხმის წყალობით მას ჰქონდა ხასიათი მეგრული მოთქმისა („თვალუა“), რასაც მრავალნი მსმენელნი აღტაცებაში მოჰყავდა.

***) მ. „მარაგადეს“ მაგიერ ნახმარია ქ. „თქმა“, „თქუა“ — დან მეგრულის პრეფიქსით „მა-თქუალი“, შეად. ქ. „მთქმელი“: ქ. ზმ“-პრეფ. > მ. „მა“-პრ-ად სრულიად კანონიერად მ. ენის სრულხმოვანებისადმი მიდრეკილების ძალით.

სოროფარე ოშინერი -
 ღორონთიში გორჩქინელი.
 იშოთ მითინს ვააგორე:
 ვართ ღირსება, ვართი გვარი.

5) სოროფილი ქორენი თექ,
 გეგაჯამუ ცაში კარი.
 სოდეთ ინა ვადორხვადუნი
 ვაგოხვარუ მთელი ჯარი.

ჩქიმ სოროფილი, ჩქიმ ხოლოს,
 10) ართიან მიცორა ჟირ ხოლოს.
 დედაქ ვეშემიტყვანი ვარა --
 გობლახუნა ჟირ ხოლოს.

შარას მფშინი— ვარდი ბძირი,
 ჯინს ხომილა წვანსუ პირი.
 15) ბოში, მა—სი გეცორდიო,
 სი ხანი დო ბედი ჭვირი.

ქუგვალე თის მა, თი ჩქიმ სოროფილს მა.
 ხეს გინულა, მარს გინვოგა,
 დუს შევწირენქ
 20) თისუ მა.

გურიშ ქუაქ გემიოლუ მა
 ფვირენქ თიში ბრალსუ,
 კითა დიხათ გუმოჩქვასუ—
 დოფთხორასუ თიში კარსუ.

25) მა—მიცორქ, სი— რჯოგულქ,
 ეს მინ მოგიწონუანს.
 ჩქიში გოჯოგაფაშენი
 ღორონთი ვაგოჩხონუანს. *)

*) ს. ნოქალაქევი ჩემთვის ჩაწერილი თვით მთქმელის—თ. ოდიშარის მიერ.

4. ყოროფა დო ფარაში ლექსი.

ართი ვარდი მათ მიხანს
იანარიშ' მათალჷ;
ბოში ჯგირი რექუ მარა-
ჯიბეს მუთა გაპალჷ.

ჯგირი ცირა უფარეთი — 5
ბედი იკოქვირი რე.

ცირა ვერგუ უფარეთი —
ჯგირი ბოშიშო მონწყილი ვარე.

ვეშესთათი, *) ჯიმაღეფი!
ფარა ოსურო ვემილათი. 10
ფარა იქკომუ, ოსური დოსკიდ,
კოცხალო დიხაშა ვენორთათი. **)

5. სასაღდათოში ლექსი.

ღუმა ზუგდის გოხოლოუდი,
პოლიციაში ქანაფილი.
„უჩა კენქი“ იშამღალუ,• 15
ჩქიმი დღა დო სერი მუნაფილი.

„უჩა კენქი“ — ლურ უყოფე, —
ჩქიმი ბედი მოტებული.
მა- საღდათო მაჟღარი,
ჩქიმ' სოროფილი დოტებული. 20

კონი აშო გახოლუქ,
სუმი წანა გეთებუნი.
მარა მუსუ ვოხვარუქ —
ჩქიმ' სოროფილი მერტებუნი. ***)

*) არ შესცდეთ, ვემეჩირთათ.

**) იმავე მთქმელის მიერ იქვე ჩანაწერი, ჩემთვის.

***) იმავე მთქმელის მიერ, იქვე ჩაწერილი, ჩვენთვის.

6. ანბანიში ლექსი.

- ა. აბა ფქუათ, მინ ორექ ბრძენი
მუშა მდინარენს მწარე სოროთა? *)
- ბ. ბორკილი ვორექ უსაშველეთ
ბაწარი გემობუ ვითოჩხორო ფა. **)
- 5 გ. გომიწყი, მიშველი, მინორექ კეთილი.
გურს მიორხენს თეცალი სოროთა.
- დ. დაბადებაში, ვამოჭირედ, ასე მუორე
თეცალი სოროთა?
- ე. ეცალი სოროთა გოდინუანს
10 ვეშეგძინენს შაური ფარას.
- ვ. ვიშო მიოცოთი თე მინუტის
მა თეს გირჩენქ ვადგეზარას.
- ზ. ზეთი ვაჟურს, თე სოროთაშე
შხვა მითინიშე ვადგენჯარას.
- 15 თ. თითო -- თითოს არძა თქუანს,
მარზენა თიში თაკილებას.
- კ. კილე მანგარი ასე მაფუ,
მითინს ვავარზენქ თაკილებას.
